



მონაპირთლათა
პროფანოპლი
მოპაეაეაბის
სისტეაე
საქართვანეო

მონაბედიანთა ჰომოგენური მონაბედიანთა
სინტაქსი სინტაქსი

2019

ანგაჰიშის ავტოჰები

ქეთევან ქუტავა, მახიამ ოჰონია, გიოჰგი ბუჩია, ანა ქიაბიჰვილი, საბა ბუაძე

ანგაჰიშის გამოცემაზე ჰასუხისმგებელი ჰიჰები

მიხეილ ბენიძე, ეღენე ნიფაჰაძე, ღევან ავლიშვილი

იუსტიციის მსმენელთა და მოსამაჰილეთა გაღამზადების ჰიოგაჰების ანალიზის თავის ავტოჰი

ჰევაზ ხოფეჰია

უცხოელი კონსულტანტი

მაჰინა ნაემოვსკა

ღიზაინეჰი

იონა უთავსაეჰი



USAID
ამერიკელი საღისზარე

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მზარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)



ISFED

საპარლამენტო ანგაჰიშის
და მდურსაჰიშის საპროგრამო
საზღვარეზა



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული ანგაჰიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამეჰიკელი ხაღის დასმაჰების ნყაღობით, ᰁმეიღც აშშ-ს საეჰთაშოჰისო განვითაჰების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა განეული. ანგაჰიშის შინააჰსზე ჰასუხისმგებელია სამაჰილეთიანი აიჩვენებისა და ღემოჰაჰიის საეჰთაშოჰისო საზოგადოება (ISFED) და ინფოჰიმაციის თავისუფლების განვითაჰების ინსტიტუტი (IDFI). ის შეიძლება აი ასახავეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაჰთვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ის მთავიშობის შეხეღელებს.

სახიჩვი

ანგაჩიშის მოქლე მიმობილევა.....	4
შესავალი.....	6
მეთოლოლოგია.....	8
იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფუნქციები და მახთვის ოჩგანოები.....	12
იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიღება.....	22
იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა შეჩრევის ეტაპები.....	30
სასწავლო პიოცესი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.....	40
სკოლის მასწავლებლები და მოწვეული სპეციადისტები.....	52
დამამთავჩებელი გამოცდა.....	56
იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხოლი მოსამახთელთა დანიშვნის პიოცესში.....	59
მოსამახთელთა გადამზადება.....	68
იუსტიციის მსმენელთა და მოსამახთელთა გადამზადების პიოგჩამების ანალიზი.....	76

ანბახიშის მოხაე მიმოხილვა

წინამდებარე კვლევა მიმოხილავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციურ მონაცემებსა და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს. კვლევაში განხილულია როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლასა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შორის უფლებამოსილებების განაწილების საკითხი, ასევე გამოკვეთილია სხვა რიგი პრობლემები, რაც იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის კუთხით არსებობს, მათ შორის, იუსტიციის მსმენელთა მომზადებასთან, მოსამართლეთა გადამზადებასთან და სკოლის პროგრამებთან დაკავშირებით.

ანგარიშში განხილულია მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო, გამოკვეთილია ძირითადი ხარვეზები და ასახულია კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა მოსაზრებები. საქართველოს საკანონმდებლო ბაზისა და რესპონდენტების პოზიციების განხილვის შემდეგ, შესაბამის საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია საერთაშორისო გამოცდილება, რომლის გათვალისწინებით თითოეული თავის ბოლოს მოცემულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

კვლევაში ცალკე თავი ეთმობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფუნქციებისა და მართვის ორგანოების მიმოხილვას. მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების წესი, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაძლებლობას აძლევს კონტროლი განახორციელოს სკოლის საქმიანობაზე. კვლევაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ორგანიზაციული დამოუკიდებლობის გაზრდის აუცილებლობაზე, რაც არსებითად მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და პირის მოსამართლედ დანიშვნის სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად.

კვლევაში ასევე ყურადღება გამახვილებულია იუსტიციის უმაღლესი სკოლაში მისაღებ კონკურსსა და მსმენელთა შერჩევის ეტაპებზე. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სკოლა არ არის უფლებამოსილი თავად შეარჩიოს იუსტიციის მსმენელები. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობა არ ქმნის საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით თვითნებური გადანაცვებების მიღება. შესაბამისად, მაღალია რისკი იმისა, რომ საბჭომ სუბიექტური შეხედულებით და არა მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით მიიღოს გადანაცვებები.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ხარვეზიანია მსმენელობის კანდიდატებისადმი

ნაყენებული მოთხოვნები, პრობლემურია შერჩევის კრიტერიუმების, ასევე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და გასაჩივრების გარანტიების არარსებობა საკანონმდებლო დონეზე. ამგვარი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა თვითნებობისა და მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეს ქმნის, რაც ზიანს აყენებს კვალიფიციური, კომპეტენტური და დამოუკიდებელი მოსამართლეებით სასამართლო სისტემის დაკომპლექტების მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს.

კვლევამ აჩვენა, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა კვალიფიციური მსმენელების მოსამზადებლად საკმარისი არ არის. არსებული რეგულირების პირობებში, პრაქტიკულად ვერ ხდება მოსამართლის ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა მნიშვნელოვანი საკითხის სიღრმისეულად გაცნობა. კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა, რომ დასახვეწია სწავლების მეთოდოლოგია და ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პრაქტიკა.

გარდა ამისა, მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს მასწავლებელთა საბჭოს დაკომპლექტების ობიექტურ და გამჭვირვალე პროცესს. მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ რეგულირებული არ არის დამამთავრებელი გამოცდის კომისიის წევრისადმი ნაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მისი შერჩევის კრიტერიუმები, რაც დამოუკიდებელ საბჭოს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს 3 წევრი.

კვლევაში ასევე ყურადღება გამახვილებულია მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში სკოლის როლის გაზრდაზე, რაც არსებითად მნიშვნელოვანია მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სამართლიანი და ობიექტური პროცესის უზრუნველსაყოფად.

კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები იუსტიციის უმაღლესი სკოლის ძირეული რეფორმის აუცილებლობაზე მიუთითებს. წარმოდგენილი ანგარიში საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვა ქვეყნების გამოცდილებებზე დაყრდნობით, მოიცავს რეკომენდაციებს არსებული ხარვეზებისა და პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების შესახებ.

შესავალი

მოსამართლის კვალიფიკაცია და მისი საქმიანობის მაღალი ხარისხი აუცილებელი წინაპირობაა დამოუკიდებელი, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულები და მართლმსაჯულების მაძიებელი პირის ინტერესების ეფექტურად დამცველი სასამართლო ხელისუფლების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნის მისაღწევად არსებითად მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის დაკომპლექტება კომპეტენტური და კვალიფიციური მოსამართლეებით, რომლებმაც მიუკერძოებელი და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელება უნდა უზრუნველყონ. საკანონმდებლო დონეზე უნდა არსებობდეს სათანადო გარანტიები იმისა, რომ დავას განიხილავს მიუკერძოებელი, კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოსამართლე, რომლის პროფესიული კომპეტენცია შეესაბამება იმ მნიშვნელოვან როლსა და პასუხისმგებლობას, რაც სასამართლო ხელისუფლებას აქვს დაკისრებული. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, რომლის თანახმად, კანონის უზენაესობა დემოკრატიულ ქვეყანაში გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, არამედ, რაც შეიძლება მაღალი ხარისხის გადანყვეტილებათა მიმღები, კომპეტენტური სასამართლო სისტემის შექმნას.¹

იუსტიციის უმაღლესი სკოლა 2006 წელს დაარსდა. დაარსების მთავარი მიზანი იყო მოსამართლეების დანიშვნის ახალი, დამსახურებაზე დაფუძნებული სისტემის შექმნა და მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომლების პროფესიული ტრენინგების ინსტიტუციონალიზაცია. იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის სისტემურობის უზრუნველყოფისა და სკოლის მიერ განხორციელებული ფუნქციების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. 2013 წელს შეიქმნა სკოლის ახალი სტრუქტურა. ჩამოყალიბდა 3 სტრუქტურული ქვედანაყოფი დამათშორის ფუნქციები მკაფიოდ გადანაწილდა.² 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით³, შეიზღუდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფართო უფლებამოსილებები სკოლასთან მიმართებით. კერძოდ, კანონით გაიწერა, რომ დამოუკიდებელი

¹ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N17 (2014), §1.

² იუსტიციის უმაღლესი სკოლა, განხორციელებული რეფორმის ანგარიში (2013-2016 წლები). ხელმისაწვდომია: <https://www.hsoj.ge/uploads/angarishi2013-2016-.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 8 მარტს).

³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1922267?publication=0> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 10 მარტს).

საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე განისაზღვრა დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის არჩევა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ⁴. ცალკეული გაუმჯობესებელი რეგულირება შეინიშნება სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ შემდეგაც. კერძოდ, 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებით⁵ გარკვეულწილად გაიზარდა სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა.

მიუხედავად ბოლო წლებში სასამართლო სისტემაში გატარებული რეფორმების სამი ტალღისა და გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა, სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ასევე მისი, როგორც მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის ერთიანი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის, საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება. იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ ამ ორგანოს რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და მისი საქმიანობის გაუმჯობესების გარეშე მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის ერთიანი სისტემის ძირეული რეფორმა შეუძლებელია. სკოლა ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსამართლეთა პერიოდული გადამზადების გზით მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების პროცესში.

კვლევის მიზანია მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება, მსმენელთა მომზადებისა და მოსამართლეთა გადამზადების პროგრამების ანალიზი, ასევე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასა და მისი საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზებით სკოლის შემდგომი რეფორმირების მხარდაჭერა.

⁴ საკანონმდებლო ცვლილებამდე დამოუკიდებელ საბჭოს თავმჯდომარეობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებდა დამოუკიდებელი საბჭოს 5 წევრს.

⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3296544?publication=0> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 10 მარტს).

ათომოლოგია

წარმოდგენილი კვლევა განხორციელდა შემდეგი მეთოდოლოგიით:

სამახორციელებელი ჩახროს ანალიზი

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა სამართლებრივი აქტები, რომლებიც აწესრიგებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფუნქციებსა და საქმიანობას, მართვის ორგანოებსა და სტრუქტურას, იუსტიციის უმაღლესი სკოლაში მსმენელთა მიღების წესს, ასევე მსმენელთა სწავლების პროცესსა და მოსამართლეთა გადამზადებას. ყურადღება გამახვილდა იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციების განაწილების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებზე. ადგილობრივი კანონმდებლობის კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა იუსტიციის უმაღლესი სკოლასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების, ხარვეზებისა და ძირითადი პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება.

კვლევის მომზადების პროცესში დამუშავდა შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება.

საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესწავლა

კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესწავლას. გაანალიზდა შემდეგი რეკომენდაციები და დასკვნები:

- ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №4 (2003);
- ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №10 (2007);
- კიევის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (2010);
- ევროპული სამოსამართლო ტრენინგების ქსელი, სახელმძღვანელო

მოსამართლეებისათვის ტრენინგების ჩატარების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით (2014);

- ევროკომისიის რეკომენდაცია ტრენინგების განმხორციელებლებისათვის (ევროპული სამოსამართლო ტრენინგები (2015)).

საერთაშორისო გამოცდილების კვლევა ძირითადად წინასწარ შერჩეულ ქვეყნებთან მიმართებით განხორციელდა. საერთაშორისო ექსპერტთან კონსულტაციის შედეგად, შეირჩა ისეთი ქვეყნები, სადაც მოსამართლეობის კანდიდატებისათვის ტრენინგები სავალდებულოა და რომლებიც საქართველოში არსებულ მოდელთან შესადარებლად რელევანტურია. ამასთან, შერჩევის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს სამართლებრივი ტრადიცია და იდენტიფიცირებული ხარვეზები და გამოწვევები. კერძოდ, კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა ავსტრიაში, ბელგიაში, დანიაში, პორტუგალიაში, პოლონეთსა და საფრანგეთში არსებული მოდელები.

ინდივიდუალური ინტეგრირება

კვლევის პროცესში გამოყენებული ერთ-ერთი მეთოდი იყო ინდივიდუალური ინტერვიუები. დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისა და სხვადასხვა აქტორების მოსაზრებების მოსმენის მიზნით, ინტერვიუები ჩატარდა მოსამართლეობის კანდიდატებთან, მოსამართლეებთან და სხვა პირებთან, რამაც შესაძლებელი გახდა პრაქტიკაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა გზების დანახვა. ინტერვიუები ასევე ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებთან და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორ წევრთან. კვლევის ფარგლებში ჯამში 11 ინტერვიუ ჩატარდა წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე, რომელიც მოიცავდა კითხვებს კვლევის ეტაპზე არსებულ პრობლემურ საკითხებზე.

სირთულეს წარმოადგენდა სკოლის კურსდამთავრებულებთან დაკავშირება, რაც ძირითადად პირადი კონტაქტების საშუალებით ხორციელდებოდა. რამდენიმე მათგანმა უარი თქვა ინტერვიუში მონაწილეობაზე, მიუხედავად ანონიმურობის დაცვისა. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უარი განაცხადა როგორც იუსტიციის მსმენელთა საკონტაქტო ინფორმაციის მონოდებაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძველზე, ასევე სკოლის მსმენელთათვის

პროექტის შესახებ ინფორმაციის გაზიარებაზე იმისათვის, რომ სურვილის შემთხვევაში, ისინი თავად დაკავშირებოდნენ პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციებს.⁶ მოცემულმა ფაქტორებმა განაპირობა იუსტიციის მსმენელებთან ჩატარებული ინტერვიუების სიმცირე. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს თვისებრივ კვლევას და ჩატარებული ინტერვიუები მიზნად არ ისახავს რეპრეზენტატულობის დაცვას.

საჯახო ინფორმაციის მოძიება და ანალიზი

კვლევის პროცესში მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, მათ შორის, სკოლის საქმიანობის ანგარიში. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან მიღებულ იქნა დამოუკიდებელი საბჭოს მიერ მსმენელთა შეფასების ფორმა, მონაცემები იუსტიციის მსმენელების, გადამზადების პროგრამაში მონაწილე მოსამართლეების, სკოლის მასწავლებლებისა და მონვეული სპეციალისტების რაოდენობის შესახებ. სკოლიდან ასევე მიღებული იქნა ინფორმაცია სასწავლო პროგრამების შესახებ:

1. სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამა და ამ პროგრამასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები, კერძოდ:

- სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამა, კურიკულუმი და სასწავლო გეგმა;
- სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის თეორიული კურსების სილაბუსები, სტაჟირების პრაქტიკის სილაბუსი;
- სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის სემინარული მუშაობის სილაბუსი;
- სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის დამამთავრებელი გამოცდის ჩატარების წესი და შეფასების კრიტერიუმები;
- სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის მასწავლებელთა შერჩევის წესი, კრიტერიუმები, პირობები.

2. მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამა, კერძოდ:

⁶ ელ-ფოსტით კომუნიკაცია იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან: 18 მაისი, 30 ივლისი და 16 აგვისტო, 2018.

- მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამა, კურიკულუმი და სასწავლო გეგმა;
- მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამის სასწავლო კურსების (თემატიკის) სილაბუსები (ან დეტალური აღწერები), რომელშიც მითითებულია მიზნები, შედეგები, თემატიკა და შეფასების კრიტერიუმები;
- მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა (მასწავლებლები) შერჩევის წესი, კრიტერიუმები, პირობები.

3. ინფორმაცია საერთაშორისო ანალოგების შესახებ, კერძოდ, რომელი ქვეყნის/ქვეყნების ანალოგიური/მსგავსი პროგრამების შინაარსისა და სწავლების გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ზემოაღნიშნული პროგრამები.

გარდა ამისა, სკოლის მიერ დამატებით მონოღებულ იქნა:

- ინფორმაცია სწავლების საჭიროებების განსაზღვრის შესახებ;
- ინფორმაცია ელექტრონული სწავლების დანერგვის შესახებ;
- ინფორმაცია სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ;
- ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი - „სამოსამართლო სწავლების ხელშეწყობა ტვინინგის პროექტის მეშვეობით“ ფარგლებში შემუშავებული ანგარიშები.

სკოლას გამოთხოვილი ინფორმაციიდან, არ მოუწოდებია ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცესში გამოყენებული გამოკითხვის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია.

საჯარო ინფორმაცია მონოღებულ იქნა ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, კერძოდ, ინფორმაცია იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის რაოდენობის, კონკურსში მონაწილე კანდიდატთა და ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობის შესახებ, ასევე, მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსისა და თანამდებობაზე გამწესებულ მოსამართლეთა რაოდენობის თაობაზე.

იუსტიციის უმაღლესი საოლქოს ფუნქციები და მართვის ორგანოები

კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოში მოსამართლედ დასანიშნი პირის - იუსტიციის მსმენელის პროფესიულ მომზადებაზე, მოქმედ მოსამართლეთა გადამზადებაზე, მოსამართლის თანამშრომლობის კანდიდატთა და სხვა სპეციალისტთა მომზადება-გადამზადებაზე უფლებამოსილ ორგანოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა წარმოადგენს⁷.

სკოლის მართვის ორგანოებია: დამოუკიდებელი საბჭო და დირექცია⁸. დამოუკიდებელი საბჭო კოორდინაციას უწევს უმაღლესი სკოლის საქმიანობას და განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მიმართულებასა და გამოცდების ჩატარების მეთოდოლოგიას. ის შეიმუშავებს და ადგენს სკოლის წესდებას, ასევე ბიუჯეტის შედგენის წესს; ისმენს სკოლის დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშს; დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, შინაგანაწესს, სასწავლო, გადამზადებისა და სტაჟირების პროგრამებს, იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას, საშტატო განრიგს, სახელფასო ფონდს, შრომის ანაზღაურებისა და მსმენელთა სტიპენდიის ოდენობას; წარადგენს სკოლის ბიუჯეტს; არჩევს სკოლის მასწავლებლებს; ირჩევს დირექტორის მოადგილეს და სტაჟირების ხელმძღვანელს; ახორციელებს კანონითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს⁹.

დამოუკიდებელი საბჭო შედგება 6 წევრისგან, რომელთაგან ერთ წევრს, რომელიც იმავდროულად დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეა, თავისი წევრებისგან ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია,¹⁰ ხოლო 5 წევრს ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (ხუთიდან ერთი წევრი უნდა იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი) დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე. დამოუკიდებელი საბჭოს წევრს ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, ხოლო დამოუკიდებელი საბჭოს

⁷ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 1-ლი მუხლი.

⁸ იქვე, მე-2 მუხლი.

⁹ იქვე, მე-7 მუხლი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, 27-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

¹⁰ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

თავმჯდომარეს - საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია.¹¹

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით¹², დამოუკიდებელ საბჭოს დაეკისრა სხდომის შესახებ ინფორმაციისა და სხდომის დღის წესრიგის სხდომის გამართვამდე 1 კვირით ადრე სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნება, ასევე მიღებული გადაწყვეტილების სხდომის ოქმთან ერთად გამოქვეყნება სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, რაც სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდის კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

რაც შეეხება სკოლის დირექციას, ის იქმნება სკოლის დირექტორის, მისი მოადგილის და სტაჟირების ხელმძღვანელის შემადგენლობით¹³. სკოლის დირექტორის ძირითადი ფუნქციებია სკოლის ფუნქციონირების, სასწავლო და გადამზადების კურსების წარმართვის, ასევე დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, დირექტორი სკოლის დირექციასა და მასწავლებელთა საბჭოსთან შეთანხმებით სასწავლო, სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამებს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს¹⁴.

ახლებული სამართლებრივი ჩაჩჩოს სახეუბები

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ძირითადი მართვის ორგანოს - დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების არსებული წესი ვერ უზრუნველყოფს სკოლის სათანადო ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან. დამოუკიდებელი საბჭო, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ძირითად საქმიანობას და ზედამხედველობს სასწავლო პროცესს, დაცული უნდა იყოს საბჭოს ზეგავლენისგან. იმის გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებელი საბჭოს 6 წევრიდან 5-ს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს, მაღალია სკოლის დამოუკიდებლობის შეზღუდვის რისკი.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების საბჭოს ფუნქციათა დიაპაზონი იმგვარად უნდა გადანაწილდეს, რომ არ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი სხვადასხვა ფუნქციების შესრულებისას¹⁵. გარდა ამისა, CCJE-ს რეკომენდაციით, „არ

¹¹ იქვე, მე-31 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹² „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლი.

¹³ იქვე, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴ იქვე, მე-6 მუხლი

¹⁵ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №10 (2007), §23.

შეიძლება ტრენინგებზე პასუხისმგებელი ორგანოები იყვნენ პირდაპირ პასუხისმგებელი მოსამართლეთა დანიშვნასა და დანიშნულებაზე. თუ იმ ორგანოს (ანუ მართლმსაჯულების კომისია)... კომპეტენციაში შედის სწავლება და დანიშვნა ან დანიშნულება, უნდა მოხდეს ამ საქმიანობებზე პასუხისმგებელი მისი სტრუქტურული ერთეულების ნათლად გამიჯვნა¹⁶. CCJE-ს რეკომენდაცია იმგვარად უნდა განიხილოს, რომ ეს ორი ორგანო იყოს არა მხოლოდ ფორმალურად განცალკევებული ერთმანეთისგან, არამედ არსებობდეს რეალური და ეფექტური ინსტიტუციური გამიჯვნა.

გარდა ამისა, კიევის რეკომენდაციების თანახმად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული უფლებამოსილებების ზედმეტი კონცენტრირება სასამართლო ხელისუფლების ერთ ორგანოში, რეკომენდებულია, მოხდეს სხვადასხვა უფლებამოსილებების გამიჯვნა და მათი დანაწილება. სასურველია, შეიქმნას რამდენიმე დამოუკიდებელი ორგანო, რომლებიც ცალ-ცალკე იქნებიან კომპეტენტური სასამართლოს ადმინისტრირებაზე ცალკეულ სფეროებში ისე, რომ არ ექვემდებარებოდნენ ერთი რომელიმე დანესებულების ან ორგანოს კონტროლს¹⁷.

მოცემული საერთაშორისო რეკომენდაციების საპირისპიროდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და იუსტიციის უმაღლესი სკოლა წარმოადგენს ცალ-ცალკე ორგანოებს, ის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ ერთმანეთისგან სათანადოდ გამიჯნული იყოს ამ ორი უწყების საქმიანობა, უზრუნველყოფილი არ არის. დღეს არსებული რეგულირების პირობებში, ამგვარი გამიჯვნა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 5 წევრს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს, შესაბამისად, საბჭოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სკოლის საქმიანობაზე.

გამოკითხულ რესპონდენტებს დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომა არ აქვთ, თუმცა უმეტესობას მიაჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მინიმალურად უნდა იყოს წარმოდგენილი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოში, რომლის დაკომპლექტებაში სხვადასხვა აქტორები უნდა იყვნენ ჩართულნი. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი დადებითად აფასებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობას სკოლის დამოუკიდებელ საბჭოში, რადგან ამ დანესებულებებს შორის უკუკავშირი მნიშვნელოვნად მიაჩნია: „შესაძლოა საბჭომ გამოავლინოს ხარვეზები სკოლასთან მიმართებით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა შეფასების ეტაპზე [განგრძობადი შეფასება და სამწლიანი

16 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №4 (2003), §18.

17 კიევის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (2010), §2. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/KyivRec?download=true> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 19 ივლისს).

დანიშვნების დროს შეფასება], აუცილებელია, რომ ინფორმაცია მივიღეს სკოლაში პრობლემებთან დაკავშირებით და ასევე პირიქით“. თუმცა, მისი აზრით, ამ უკუკავშირის ეფექტიანად განხორციელება პრაქტიკაში პრობლემურია და „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობას სკოლის დამოუკიდებელი საბჭოში მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს“.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი საბჭოს 6 წევრიდან 5 წევრის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცება, პრობლემური არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი პირები კეთილსინდისიერად იმოქმედებენ. თუმცა, ამავე რესპონდენტის მითითებით, პირთა კეთილსინდისიერების პირობებშიც კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ფართო არეალი საფრთხის შემცველია. იგი მიიჩნევს, რომ სასურველია, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირებაში სხვადასხვა აქტორები ჩაერთონ.

სხვადასხვა აქტორების ჩართვაზე ამახვილებენ ყურადღებას სხვა რესპონდენტებიც. მათი აზრით, კარგი იქნება, თუ დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტებაში ჩაერთვებიან სხვა არაპოლიტიკური აქტორები, მაგალითად, უნივერსიტეტები, სახალხო დამცველი, საკონსტიტუციო სასამართლო და სხვა.

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს არჩევა მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს კომპეტენციაში უნდა გადავიდეს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს რაც შეიძლება მინიმალური წარმომადგენლობა დარჩეს. მისი აზრით, სკოლის დამოუკიდებლობისათვის აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი სკოლა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო მაქსიმალურად გაიმჯობს ერთმანეთისგან. აღნიშნულის მსგავსად, სხვა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ არსებული მონერსივების პირობებში, ძალაუფლების კონცენტრაცია ხდება ერთი ორგანოს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში, რაც პრობლემურია.

აღნიშნულისგან განსხვავებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლების შეფასებით, დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტების საკითხი პრობლემური არ არის. მათ არ ახსოვთ წარდგენილი კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უარყოფითად შეფასების ან მათი კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევა. მათი თქმით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ ერევა ამ ნაწილში და არ წყვეტს ვინ უნდა იყოს დამოუკიდებელი საბჭოს წევრი. შესაბამისად, მათი შეფასებით, სკოლის დამოუკიდებელი საბჭო არ არის დამოუკიდებელი იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო - მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს და შემდეგ თავად თავმჯდომარე წარადგენს დამოუკიდებელი საბჭოს დანარჩენ კანდიდატებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე. მათი შეფასებით, დამოუკიდებელი საბჭოს

ფორმირებაში მეტი როლი თავად მოსამართლეთა კონფერენციას აქვს, ვიდრე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც მხოლოდ ფორმალური ფუნქცია აკისრია. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ კანონმდებლობით ისიც არ არის გათვალისწინებული, რა ხდება უარის შემთხვევაში, უნდა დაასაბუთოს თუ არა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უარი. შესაბამისად, ამ ნაწილში კანონმდებლობა დასახვეწია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა პირველ რიგში, მისი ძირითადი მართვის ორგანოს დაკომპლექტების წესთან არის დაკავშირებული. მოქმედი კანონმდებლობით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში კონცენტრირებული ფართო უფლებამოსილება სკოლის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის რისკს წარმოშობს. შესაბამისად, სკოლის სათანადო დისტანცირება საბჭოსგან და დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების წესის არსებითი ცვლილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სხვა ქვეყნების გამოცდილება

პორტუგალიაში იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობით და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ, თუმცა, სამართლებრივი ფორმითა და ადმინისტრაციული ავტონომიით, მოსამართლეთა სასწავლო ცენტრი (Centro de Estudos Judiciarios (CEJ)) არის ის ინსტიტუცია, რომელიც პასუხისმგებელია მოსამართლეთა და პროკურორთა მოსამზადებელ და გადასამზადებელ ტრენინგებზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მსგავსი ფუნქციები აკისრია CEJ-ის მართვის ერთ-ერთ ორგანოს - გენერალურ საბჭოს, რომლის შემადგენლობა კანონით არის განწერილი. გენერალური საბჭო ვალდებულია დაამტკიცოს წლიური აქტივობის გეგმა და განიხილოს CEJ-ის ყოველწლიური აქტივობის ანგარიში, დაამტკიცოს რეგლამენტი, დააფიქსიროს თავისი მოსაზრება ღირეფტორის დანიშვნაზე, შეასრულოს სხვა უფლებამოსილებები, რომელიც უკავშირდება სასწავლო ცენტრის ფუნქციონირებას და არ ეკუთვნის სხვა ორგანოთა დისკრეციას ან პირდაპირ ევალება ღირეფტორის ან იუსტიციის მინისტრის მიერ.

მოსამართლეთა სასწავლო ცენტრის (CEJ) გენერალური საბჭოს წევრები არიან: ა) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე; ბ) უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე; გ) გენერალური პროკურორი; დ) ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე; ე) CEJ ღირეფტორი; ვ) პარლამენტის მიერ დანიშნული ორი პირი, რომელიც ცნობილია თავისი მოღვაწეობით; ზ) იუსტიციის მინისტრისა და განათლების მინისტრის მიერ ერთობლივად შერჩეული სამი კანდიდატი სამართლის ფაკულტეტიდან; თ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ

დანიშნული წევრი; ი) ადმინისტრაციულ და საგადასახადო სასამართლოთა უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშნული წევრი; კ) უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშნული პირი; ლ) ცენტრის ორი მსმენელი, რომლებიც არიან თეორიულ-პრაქტიკული სასწავლო კურსის პირველ ეტაპზე და რომლებიც აირჩევიან მათი კოლეგების რიცხვიდან¹⁸.

ბელგიაში მოსამართლეობის კანდიდატებისათვის ტრენინგებს ატარებს სასამართლო ტრენინგების ინსტიტუტი, რომელიც სამი ორგანოსაგან შედგება: დირექცია, მმართველი საბჭო და სამეცნიერო კომიტეტი.¹⁹

მმართველი საბჭოს ფუნქციაში შედის ყოველწლიური გეგმის დამტკიცება, რომელიც წარმოდგენილია დირექციის მიერ. აუცილებელია, რომ წლიური გეგმა შესაბამისობაში იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დირექტივებთან. გარდა ამისა, მმართველი საბჭო აკონტროლებს დირექციის მიერ ინსტიტუტის წარმართვის პროცესს, ამტკიცებს ბიუჯეტსა და დირექციის მიერ შეთავაზებულ გეგმას თანამშრომლების შესახებ. მმართველი საბჭო ასევე უზრუნველყოფს დისციპლინის დაცვას დირექციის წევრებს შორის.²⁰ მმართველი საბჭო 14 წევრისგან შედგება, რომელთაგან 7 წევრი თანამდებობრივად შედის საბჭოს შემადგენლობაში, ხოლო 7 წევრი არის დანიშნული.²¹

დანიიში კანდიდატთა (წესით მოსამართლის თანამშემწეები არიან და მათი შერჩევა არ ხდება კონკურსით) სწავლებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის სასამართლო ადმინისტრაცია, სადაც არსებობს ტრენინგების განყოფილება. მიუხედავად ამისა, რომ სასამართლო ადმინისტრაცია ფორმალურად იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ არის შექმნილი, სამინისტროს არ შეუძლია შეცვალოს დანიის სასამართლო ადმინისტრაციის გადანყვეტილებები²².

სასამართლო ადმინისტრაცია დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის მართვის ორგანოებს მმართველთა საბჭო და დირექტორი წარმოადგენს.²³ დირექტორი, რომელსაც ირჩევს მმართველთა საბჭო, პასუხისმგებელია სასამართლო ადმინისტრაციის ყოველდღიურ მენეჯმენტზე და მას არ მოეთხოვება

¹⁸ პორტუგალიის კანონი მოსამართლეთა კანდიდატების მიღების, ტრენინგის და მოსამართლეთა სასწავლო ცენტრის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ, N2/2008, 97-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2rs1qaQ> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 2 დეკემბერს).

¹⁹ <http://www.ejtn.eu/About-us/Members/Belgium/> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 30 ნოემბერს).

²⁰ <https://bit.ly/2EhaHL1>, გვ.6. (ბოლოს ნანახია 2018 წლის 30 ნოემბერს).

²¹ <https://bit.ly/2rq440H> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 1 დეკემბერს).

²² A Closer Look at the Courts of Denmark, გვ.14, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RHqLZE> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

²³ <http://www.ejtn.eu/About-us/Members/Denmark/> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

იურიდიული განათლების ქონა.²⁴ მმართველთა საბჭო შედგება 11 წევრისაგან, საიდანაც 8 მოსამართლეა, ერთი ადვოკატი და ორ წევრს აქვს სპეციალური მენეჯმენტის ფუნქცია.²⁵

„დანის სასამართლო ადმინისტრირების შესახებ“ აქტის მიხედვით, საბჭოს მოსამართლე წევრებს წარადგენს სასამართლო სისტემა, საბჭოს ადვოკატ წევრს - დანიის ადვოკატთა ასოციაცია, ხოლო წევრებს, რომლებსაც აქვთ სპეციალური მენეჯმენტის ფუნქცია, წარადგენს ორი საჯარო ინსტიტუტი - დანიის უნივერსიტეტის რექტორთა კონფერენციის სამდივნო და ეროვნული დასაქმების საბჭო. ფორმალურად იუსტიციის მინისტრი ნიშნავს მმართველთა საბჭოს წევრებს. მმართველთა საბჭოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს საბჭო ირჩევს თავისი წევრებისგან.²⁶

პოლონეთის ეროვნული სკოლა მოსამართლეთათვის, რომლის ერთ-ერთ ვალდებულებას სამოსამართლო კანდიდატების მომზადება წარმოადგენს, იმართება პროგრამების საბჭოსა და დირექტორის მიერ. სწორედ სკოლის პროგრამების საბჭოა ის ორგანო, რომელიც ფუნქციურად ჰკავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს. პროგრამების საბჭოს პასუხისმგებლობაში შედის:

- ეროვნული სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- წლიური განრიგის და ტრენინგ-აქტივობების შედგენა;
- სამართლებრივი ტრენინგების კურიკულუმის შედგენა;
- მოსაზრებების გამოთქმის იმ ჯგუფების შემადგენლობასთან დაკავშირებით, რომლებიც ჩართული არიან კონკურსებსა და გამოცდებში;
- ყოველწლიურად გამოსაქვეყნებელი მასალების განსაზღვრა;
- რეგულაციების განსაზღვრა ეროვნული სკოლის ორგანიზაციული

24 The Danish Courts – an Organization in Development, ხელმისაწვდომია: <http://www.scandinavianlaw.se/pdf/51-27.pdf> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

25 <https://bit.ly/2rPC8i> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

26 Consultative Council of European Judges (CCJE) Questionnaire for 2007 CCJE Opinion Concerning the Councils for the Judiciary – Reply submitted by the delegation of Denmark, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16807474d7> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

პროგრამების საბჭო შედგება სკოლის დირექტორისა და არაუმეტეს 12 წევრისაგან, რომლებსაც იუსტიციის მინისტრი ნიშნავს შესაბამისი აქტორების წარდგინებით. ერთ წევრს წარადგენს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ერთ წევრს - მართლმსაჯულების ეროვნული საბჭო, ერთ წევრს - პროკურატურის ეროვნული საბჭო გენერალური პროკურორის ოფისის მხრიდან, ერთ წევრს - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ერთ წევრს - უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე, ორ წევრს მოსამართლეებს შორის ირჩევს იუსტიციის სამინისტრო, ორ წევრს გენერალური პროკურორი ირჩევს პროკურორებს შორის და სამ წევრს - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც სამართლებრივ კურსებს ასწავლიან.

რაც შეეხება სკოლის დირექტორს, რომელიც არის სკოლის ხელმძღვანელი და წარმომადგენელი, იგი აირჩევა იუსტიციის სამინისტროს მიერ. თუმცა, აღნიშნული ხორციელდება ეროვნული სამოსამართლო საბჭოსა და პროკურორების ოფისის ეროვნული საბჭოს რჩევის საფუძველზე.²⁸

საფრანგეთში მოსამართლეთა სწავლებაზე უფლებამოსილი ორგანოა ეროვნული სამოსამართლო სკოლა.²⁹ სკოლა საჯარო ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ ფუნქციონირებს. მისი სტატუსიდან გამომდინარე, სკოლა დამოუკიდებელია ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების გამოყენების ნაწილში.³⁰ საფრანგეთის ეროვნული სა მოსამართლო სკოლა პასუხისმგებელია კონკურსის, გამოცდების, ტრენინგების ორგანიზებაზე როგორც კანდიდატებისათვის, ისე უკვე მოქმედი მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის.³¹

სკოლის მენეჯმენტს განსაზღვრავს სპეციალური საბჭო. საბჭოს პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი არიან საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე და მთავარი პროკურორი. სკოლის საბჭოს წევრები ასევე არიან იუსტიციის

27 <https://www.kssip.gov.pl/angielski> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 1 დეკემბერს).

28 იქვე.

29 The French National School of Judiciary, ხელმისაწვდომია: <http://www.ejtn.eu/About-us/Members/France/> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

30 National School for the Judiciary, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zKRHRy> (ბოლოს ნანახია 26/11/2018).

31 <http://www.ejtn.eu/About-us/Members/France/> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

სამინისტროსა და სასამართლოების წარმომადგენლები. საბჭო წყვეტს სასწავლო კურიკულუმებთან, სკოლის ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებს და ყოველწლიურად წარადგენს ადმინისტრაციულ და ფინანსურ ანგარიშებს.

საფრანგეთის ეროვნული სამოსამართლო სკოლის დირექტორს ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. სკოლის დირექტორი იმპლემენტაციას უწევს სკოლის პედაგოგიურ მიზნებს და იღებს ყველა შესაძლო ზომას, რათა საბჭოს გადანყვეტილებები შეასრულოს. იგი საანგარიშო დასკვნის სახით ადგენს თითოეული კანდიდატის მიზნობრივი სასწავლო პროგრამის განრიგს და უგზავნის სამოსამართლო სწავლების საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია მსმენელების მომზადებაზე.³²

დასკვნა და რეკომენდაციები

საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მოსამართლეთა სწავლების ცენტრების მმართველი ორგანოები მაქსიმალურად მრავალფეროვანი შემადგენლობით განისაზღვრება, მათი წარმდგენი აქტორებიც მრავალფეროვანია, რაც უზრუნველყოფს მათი დამოუკიდებლობის ხარისხის ხელშეწყობას.

არსებული საერთაშორისო სტანდარტებით რეკომენდებულია, რომ უფლებამოსილებები გადანაწილებული იყოს სხვადასხვა ორგანოებს შორის, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ერთმანეთისგან.

საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტებისგან განსხვავებით, საქართველოში იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სწორედ მისი მონოლითურობის გამო. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ დამოუკიდებელი საბჭოს აბსოლუტურ უმრავლესობას ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რაც მას შესაძლებლობას აძლევს კონტროლი განახორციელოს სკოლის საქმიანობაზე.

არსებული სამართლებრივი ჩარჩო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში ფართო უფლებამოსილების კონცენტრირებას ითვალისწინებს, ხოლო იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე საჯარო

³² Ordonnance n° 58-1270 du 22 décembre 1958 portant loi organique relative au statut de la magistrature. Version consolidée au 07 août 2018, მუხლი 21-1. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2LThbPI> (ბოლოს ნანახია 26/11/2018).

სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებობს, ვერ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის კრიტერიუმს.

ამასთან, რესპონდენტების უმეტესობა დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების წესს პრობლემურად თვლის და მიაჩნია, რომ აუცილებელია მის დაკომპლექტებაში სხვადასხვა აქტორები იყვნენ ჩართული, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობა მინიმუმამდე შემცირდეს.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების წესი, რაც აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი სკოლის ავტონომიურობის გაზრდისა და მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, კერძოდ:

- მოსამართლე წევრები, რომლებიც დამოუკიდებელი საბჭოს წევრების ნახევარს წარმოადგენენ, უნდა აირჩიოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანომ - მოსამართლეთა კონფერენციამ. მათი თანამდებობიდან გათავისუფლებაც მოსამართლეთა კონფერენციის მიერ უნდა განხორციელდეს. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე წევრები ამავედროულად არ იყვნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები.
- სკოლასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის გარკვეული კავშირისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობაში დარჩეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი არამოსამართლე წევრი.
- სისტემის ჩაკეტვის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია დამოუკიდებელი საბჭოს 2 წევრი გარე აქტორების მონაწილეობით დაინიშნოს და მათი შერჩევის ობიექტური კრიტერიუმები ნათლად განისაზღვროს საკანონმდებლო დონეზე.
- მიზანშეწონილია, დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე თავად საბჭოს წევრებმა აირჩიონ ხმათა უმრავლესობით.

ამგვარი რეფორმა არსებითად მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და პირის მოსამართლედ გამწესების სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად.

იუსტიციის უმაღლეს საოლქო მიწაზე

კანონმდებლობის მიმოხილვა

მოქმედი კანონმდებლობით, სკოლაში იუსტიციის მსმენელად მიღება ხდება კონკურსის წესით, რომელიც, როგორც წესი, ტარდება წელიწადში ორჯერ – მაისსა და ოქტომბერში. სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების თაობაზე გადანაცვებულებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადანაცვებულება კონკურსის წლის განმავლობაში დამატებით სხვა დროს ჩატარების შესახებ, რაც უნდა გამოცხადდეს კონკურსის ჩატარებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე³³. სკოლაში მისაღებ კანდიდატთა ოდენობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო³⁴.

კონკურსი ცხადდება შესაბამისი თვის დადგომამდე არაუმეტეს ერთი თვით და არანაკლებ ორი კვირით ადრე. იუსტიციის მსმენელობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადას იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს კონკურსის გამოცხადებისას³⁵. კონკურსს თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს³⁶.

კანონის თანახმად, სკოლაში სწავლისაგან თავისუფლდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი, ასევე ყოფილი მოსამართლე, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გამწესებული იყო მოსამართლის თანამდებობაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში ან რაიონულ (საქალაქო) ან/და სააპელაციო სასამართლოში კონკურსის წესით და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 18 თვის გამოცდილება. პირი, რომელმაც გაიარა სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეეყვანილ იქნა იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში, მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად თავისუფლდება სკოლაში სწავლისაგან, მიუხედავად იმისა, რა ვადით ეკავა მას მოსამართლის თანამდებობა ან სკოლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა თუ არა იგი ამ თანამდებობაზე³⁷.

33 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-11 მუხლი.

34 იქვე, მე-14 მუხლი.

35 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-4 მუხლი.

36 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-13 მუხლი.

37 იქვე, 36-ე მუხლი.

ახსებული სამაჩთლებიჩივი ჩაჩჩოს ხაჩეხეხეხე

არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი ცხადყოფს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში კონცენტრირებულია ჭარბი უფლებამოსილება, რაც იუსტიციის უმაღლესი სკოლის როლს მოსამართლეობის მსურველი პირის სამოსამართლო კარიერის განსაზღვრის პროცესში ფორმალურ ხასიათს ანიჭებს. სკოლაში მსმენელთა მიღებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს, რაც ამ ორგანოსთვის შეუფერებელ ფუნქციას წარმოადგენს. სკოლა არის ის ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასამართლო სისტემის განახლება, ახალი კადრების მოზიდვა და სისტემის გაჯანსაღება. ის ფაქტი, რომ სკოლა არ არის უფლებამოსილი თავად შეარჩიოს მომავალი მსმენელები, მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სისტემის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობის შემდგომი განვითარება წარმოადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პრიორიტეტს.³⁸ სკოლის უფლებამოსილებების გაზრდა კი მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

მოქმედი კანონმდებლობა არ ქმნის საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადოს მსმენელთა მისაღები კონკურსი მაშინ, როდესაც ამას მართლმსაჯულების ინტერესები და სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობა მოითხოვს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონოდებული საჯარო ინფორმაციის³⁹ თანახმად, 2013-2018 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსი გამოცხადდა სამჯერ - 2013, 2014 და 2015 წლებში. 2016-2017 წლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სკოლაში მისაღები კონკურსი არ გამოუცხადებია, თუმცა, შეუძლებელია დადგინდეს რა იყო ამის მიზეზი, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კონკრეტულ ფაქტორებს, რის საფუძველზეც საბჭო ამგვარ გადაწყვეტილებას იღებს. ასევე არ არის დადგენილი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და მათი გაზრდის საჭიროებაზე საუბარი,⁴⁰ კონკურსის არგამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება კიდევ უფრო მეტ კითხვის ნიშნებს აჩენს. შესაბამისად, აშკარაა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საბჭოს თვითნებობის თავიდან აცილების

38 <https://bit.ly/2W9E6Mj> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 10 მარტს).

39 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 1 აგვისტოს N 1710/2209-03 წერილი.

40 საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება, 8 აგვისტო, 2018, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2G8tHvw> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 26 იანვარს).

სამართლებრივ გარანტიებს.

საკანონმდებლო ჩარჩო ასევე ვერ უზრუნველყოფს მისაღებ მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრას ნათელ და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მონოღებული საჯარო ინფორმაციის⁴¹ თანახმად, დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებ მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრა 15 მსმენელით. დამოუკიდებელი საბჭოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებ მსმენელთა საერთო რაოდენობა განისაზღვრა არაუმეტეს 15 მსმენელით. თუმცა, როგორც საჯარო ინფორმაციის წერილშია მითითებული, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამატებითი მიმართვის საფუძველზე, სასამართლო სისტემის საჭიროებებისა და სკოლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სკოლაში მისაღებ მსმენელთა საერთო რაოდენობა განისაზღვრა არაუმეტეს 20 მსმენელით. მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, შეუძლებელია დადგინდეს რა გარემოებები იქნა მიღებული მხედველობაში მისაღებ მსმენელთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის პროცესში.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში კონკურსის გამოცხადება და მისაღებ კანდიდატთა რაოდენობის დადგენა დაკავშირებული უნდა იყოს ცალკეულ ობიექტურ გარემოებებთან, როგორც არის სისტემაში მოსამართლეთა არსებული რაოდენობა, უახლოეს მომავალში მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების მაჩვენებელი (უფლებამოსილების ვადის გასვლის ან საპენსიო ასაკის მიღწევის გამო), ასევე დაკავშირებული უნდა იყოს სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრასთან, რამაც ერთობლივად უნდა აჩვენოს, მოსამართლის რამდენი ვაკანსია შეიძლება გაჩნდეს უახლოეს პერიოდში.

მსგავს მიდგომას იზიარებს ერთ-ერთი რესპონდენტიც, რომლის თანახმად, აუცილებელია კანდიდატების რაოდენობა სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გადაწყდეს, მითუმეტეს ახლა, როცა მოსამართლეები უვადოდ იქნებიან დანიშნული. კერძოდ, ამ ნაწილში უნდა შეფასდეს რამდენი ახალი მოსამართლე სჭირდება მართლმსაჯულების სისტემას და შემდეგ ამ მონაცემზე დაყრდნობით მოხდეს კანდიდატების რაოდენობის განსაზღვრა.

რამდენიმე გამოკითხული რესპონდენტი მხარს უჭერს სკოლის უფლებამოსილებების გაზრდას. კერძოდ, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი სკოლა კონკურსის გამოცხადებასა და მსმენელების შერჩევაზე თავად იყოს პასუხისმგებელი. თუმცა, თუ იუსტიციის უმაღლესი სკოლა ყველანაირად მაინც დამოკიდებული იქნება საბჭოზე, მაშინ

41 იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2018 წლის 21 აგვისტოს N02/2088 წერილი.

აღნიშნულს მნიშვნელობა დაეკარგება. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი სკოლა ინსტიტუციურად გაძლიერდეს.

სხვა რესპონდენტის მითითებით, მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მინიმალურად ერეოდეს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებ კანდიდატთა შერჩევაში. მისი აზრით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩართულობა მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ ნაწილში, როცა იგი განსაზღვრავს კანდიდატების რაოდენობას, რომელთა დანიშვნის რესურსიც მას გააჩნია. აღნიშნული მნიშვნელოვანია მოსამართლეთა უვადო დანიშვნის პროცესში. თუმცა, დანარჩენი საკითხები - შერჩევა, ჩარიცხვა, სწავლება, მისი აზრით, სრულად იუსტიციის უმაღლესი სკოლის კომპეტენცია უნდა იყოს.

შესაბამისად, რესპონდენტების მიერ დაფიქსირებული პოზიციის თანახმად, სკოლაში მსმენელთა მიღებასა და კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანო არ უნდა იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. მისი როლი უნდა შემოიფარგლებოდეს მისაღებ მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრით, რაც უნდა ეფუძნებოდეს სისტემაში არსებულ საჭიროებას.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა სკოლის უფლებამოსილებების გაზრდასთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ სკოლის უფლებამოსილების გაზრდისა და შემცირების საკითხი საკანონმდებლო ორგანოს გადასაწყვეტია. თუმცა, თუ აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დადგება, ცხადია, იუსტიციის უმაღლესი სკოლაც დააფიქსირებს პოზიციას, რომელიც მთლიანად სასამართლო სისტემის პოზიცია იქნება და არა განყენებული, ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი სკოლა სასამართლო სისტემის ნაწილია და არა მისგან გამიჯნული ორგანიზაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით აუცილებელია სასამართლო სისტემასთან კოორდინაცია და სკოლის უფლებამოსილებების გაზრდისა თუ შემცირების საკითხიც სწორედ ამგვარ თემატიკას განეკუთვნება. ამგვარი განცხადება ცხადად აჩვენებს, რომ სკოლას არ აქვს დამოუკიდებელი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ცვლილებები არის აუცილებელი ამ ორგანოს ინსტიტუციური თუ ფუნქციური დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად, რაც გარკვეულწილად მიანიშნებს რამდენად არის სკოლა დამოკიდებული იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მართალია, არ არსებობს პირდაპირი ჩანაწერი, როგორ უნდა მოხდეს მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის დადგენა, თუმცა ამ ნაწილში ხდება ბევრი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება, მათ შორის ვაკანსიების რაოდენობის, ასევე იმის, თუ დაახლოებით რამდენი მოსამართლის დამატება არის შესაძლებელი და სხვა. მათივე მითითებით, იუსტიციის მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრისას სწორედ აღნიშნულ ფაქტორებს ითვალისწინებენ და ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის პოზიციასაც, თუ რამდენი მსმენელის მომზადების

შესაძლებლობა არსებობს. მეტიც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების თქმით, მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრისას, პირველ რიგში, სწორედ იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან გადიან კონსულტაციას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრის განცხადებით, თავდაპირველად, როდესაც საქართველოში იუსტიციის უმაღლესი სკოლის იდეა ჩამოყალიბდა, ეს უკანასკნელი საფრანგეთის მოდელის გადმოღებას გულისხმობდა, თუმცა, შემდეგ იუსტიციის უმაღლესი სკოლა ბელგიის პროექტს უფრო დაემსგავსა. ბელგიაში სწორედ საბჭო იღებს მსმენელებს, თუმცა შემდეგ მსმენელები ავტომატურად ინიშნებიან მოსამართლეებად.

ამ ნაწილში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ასევე აღნიშნა, რომ მოსამართლეთა დანიშვნა/გათავისუფლება საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს და სკოლაში იმ რაოდენობის კანდიდატების მიღება ხდება, რაც საჭიროა. შესაბამისად, თუ მსმენელების მიღება საბჭოს უფლებამოსილება არ იქნება, ფაქტობრივად საბჭოს ფუნქციას მოსამართლეთა დანიშვნის კუთხით მნიშვნელობა დაეკარგება.

აღნიშნული მოსაზრება საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელები პირდაპირ მოსამართლეებად არ ინიშნებიან და მოსამართლეობის მსურველმა შესაბამისი კონკურსი უნდა გაიაროს, რაც საბჭოს შესაძლებლობას აძლევს კანდიდატი შეაფასოს. შესაბამისად, სკოლის მიერ კონკურსის გზით მსმენელების შერჩევის შემთხვევაშიც მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა საბჭოს მნიშვნელოვან ფუნქციად დარჩება.

გარდა ამისა, ორი სხვადასხვა ორგანოს მიერ კანდიდატის დამოუკიდებლად შეფასება, პირველ ეტაპზე მსმენელად მიღებისას, ხოლო მეორე ეტაპზე მოსამართლედ დანიშვნისას, ხელს შეუწყობს საუკეთესო კანდიდატების შერჩევას. დღეს არსებული რეგულირების პირობებში, საბჭოს ხელში ჭარბი უფლებამოსილება არის თავმოყრილი და ორივე ეტაპზე შერჩევა ერთი ორგანოს მიერ ხდება, რაც ვერ უზრუნველყოფს პირის მოსამართლედ გამწესების სამართლიან პროცესს.

სხვა ქვეყნების გამოცდილება

სექტემბერს იწყებს და 31 ივლისს ასრულებს⁴². შესაბამისად, პორტუგალიაში კანონი ქმნის გარანტიას, რომ სკოლას ჰყავდეს ახალი ნაკადი და არც ერთ სხვა სტრუქტურაზე არ იყოს დამოკიდებული. შესაბამის სასამართლოში

⁴² პორტუგალიის კანონი მოსამართლეთა კანდიდატების მიღების, ტრენინგის და მოსამართლეთა სასწავლო ცენტრის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ, N2/2008, მე-4 მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2rs1qaQ> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 2 დეკემბერს).

მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შესახებ დასაბუთებულ ინფორმაციას იუსტიციის მინისტრს ყოველწლიურად, 15 ივლისამდე, სწავლების კურსის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, წარუდგენს მაგისტრატთა უმაღლესი საბჭო, ადმინისტრაციულ სასამართლოთა უმაღლესი საბჭო და მთავარი პროკურორის ოფისი⁴³. იუსტიციის მინისტრი გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომლითაც განსაზღვრული უნდა იყოს თითოეულ სასამართლოში მისაღები მაგისტრატების რაოდენობა⁴⁴.

იუსტიციის მინისტრის მიერ აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 დღისა, CEJ-ის დირექტორი პასუხისმგებელია ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოაქვეყნოს ცნობა კონკურსზე⁴⁵, რის შემდგომაც 15 დღის ვადაში კანდიდატი უნდა დარეგისტრირდეს კონკურსში მონაწილეობის გასავლელად⁴⁶. კანდიდატმა განაცხადით უნდა მიმართოს სკოლის დირექტორს.⁴⁷ განაცხადების ფორმალური და შინაარსობრივი გადამოწმების შემდგომ, 15 დღის ვადაში CEJ-ის დირექტორი იღებს რეგისტრირებულთა სიას (რომელიც ქვეყნდება სკოლაში, ასევე CEJ-ის ვებგვერდზე), ხოლო კანდიდატები, რომელთაც მონაწილეობაზე უარი ეთქვათ, იღებენ დასაბუთებულ უარს. ამ უკანასკნელთ 5 დღის ვადაში აქვთ გასაჩივრების უფლება⁴⁸.

შესაბამისად, პორტუგალიის კანონმდებლობით განწერილია როგორც კონკურსის გამოცხადების მიახლოებითი თარიღი, ასევე კანდიდატის მიერ კონკურსში დარეგისტრირების და მისაღები კანდიდატების სიის გამოქვეყნების ფიქსირებული ვადაც.

პოლონეთში იუსტიციის მინისტრი აცხადებს კონკურსს მოსამართლეობისა და პროკურორობის კანდიდატებისათვის. იუსტიციის მინისტრი განსაზღვრავს მისაღებ პირთა ლიმიტსა და გამოცდის თარიღსაც. კანდიდატები შეირჩევიან გამოცდის საფუძველზე, რა დროსაც მოწმდება კანდიდატების ცოდნა სამართლის სხვადასხვა დარგში, ასევე სამართლებრივი არგუმენტაციისა და ინტერპრეტაციის უნარები.

43 იქვე, მე-7 მუხლი.

44 იქვე, მე-7 მუხლი.

45 იქვე, მე-10 მუხლი.

46 იქვე, მე-11 მუხლი.

47 იქვე, მე-11 მუხლი.

48 იქვე, მე-12 მუხლი.

გამოცდები მომზადებულია მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ უიურის, რომელიც არჩეულია იუსტიციის მინისტრის მიერ. კონკურსი ტარდება სპეციალური კომიტეტის მიერ, რომელიც შედგება იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული მოსამართლეებისა და პროკურორებისაგან. თავის მხრივ, მოსამართლეებისა და პროკურორების კანდიდატურას იუსტიციის მინისტრს ეროვნული სკოლის დირექტორი წარუდგენს.⁴⁹

საფრანგეთში ყოველ წელიწადს იუსტიციის მინისტრი განსაზღვრავს მისაღები კანდიდატების რაოდენობას. საფრანგეთის ეროვნული სამოსამართლო სკოლა ორგანიზებას უწევს მსმენელების მიღებას. კერძოდ, სკოლის მიზნების გათვალისწინებით, გამოყოფილია ორი მთავარი დეპარტამენტი: ერთი პასუხისმგებელია შერჩევის პროცესზე, ტრენინგებსა და კვლევით მიმართულებებზე (მდებარეობს ბორდოში); მეორე პასუხისმგებელია მოსამართლეებისა და პროკურორების გადამზადებასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე (მდებარეობს პარიზში).⁵⁰

ეროვნულ სამოსამართლო სკოლაში არსებული დასაქმების საქვეუწყებო დეპარტამენტი ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს სამ მისაღებ გამოცდას.⁵¹ გამოცდას 27 წლამდე ასაკის პირებისათვის, რომელთაც უნივერსიტეტის დიპლომი აქვთ⁵², გამოცდას საჯარო მოხელეებისათვის და გამოცდას იმ პირებისათვის, რომლებსაც კერძო სექტორში ან არჩევით თანამდებობაზე მუშაობის რამდენიმე წლიანი პროფესიული გამოცდილება აქვთ.⁵³

ეროვნულ სამოსამართლო სკოლაში პირები შესაძლოა ჩაირიცხონ გამოცდის ჩაბარების გარეშე, თუ ისინი სკოლაში ჩარიცხვის ზოგად კრიტერიუმებთან ერთად დამატებით აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- აქვთ 4-წლიანი სამართლის ხარისხი და ასევე აქვთ 4-წლიანი გამოცდილება რომელიმე მიმართულებით (იურიდიული, სოციალური, ეკონომიკური მიმართულებები);

49 <https://www.kssip.gov.pl/angielski> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 1 დეკემბერს).

50 National School for the Judiciary, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zKRHRy> (ბოლოს ნანახია 26/11/2018).

51 გამოცდებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://droit-eco-gestion.univ-rouen.fr/enm-conditions-d-acces-16240.kjsp> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

52 Recruitment, Professional Evaluation and Career of Judges and Prosecutors in Europe: Austria, France, Germany, Italy, The Netherlands and Spain, გვ 45. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2rrPiXo> (ბოლოს ნანახია 1/12/2018).

53 National School for the Judiciary (The spirit of laws thrives at the ENM), ხელმისაწვდომია: http://www.enm.justice.fr/sites/default/les/publications/plaquette2017_EN.pdf (ბოლოს ნანახია 26/11/2018).

- აქვთ სამართლის დოქტორის ხარისხი და ასევე უნივერსიტეტის დიპლომი რომელიმე სხვა მიმართულებით;
- ასწავლიდნენ ან ახორციელებდნენ კვლევებს უნივერსიტეტში და აქვთ უნივერსიტეტის სამართლის ხარისხი.⁵⁴

იმისათვის, რომ ეს პირები ეროვნულ სამოსამართლო სკოლაში ჩაირიცხონ, აუცილებელია დანინაურების კომისიის მიერ მათი შეფასება.⁵⁵

დასკვნა და რეკომენდაციები

არსებული სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სკოლა არ არის უფლებამოსილი თავად შეარჩიოს იუსტიციის მსმენელები. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობა არ ქმნის საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით თვითნებური გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ საბჭომ სუბიექტური შეხედულებით და არა მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება. პრობლემურია ისიც, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს მისაღებ მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრას ნათელ და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- მნიშვნელოვანია სკოლაში მისაღები კონკურსი გამოცხადდეს კანონით დადგენილი პერიოდულობით, რაც გამორიცხავს თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. კანონით მკაფიოდ განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევის არსებობისას (როგორც არის, უახლოეს მომავალში მოსამართლის ვაკანსიის არარსებობა სასამართლო სისტემაში), იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება

⁵⁴ Recruitment, Professional Evaluation and Career of Judges and Prosecutors in Europe: Austria, France, Germany, Italy, The Netherlands and Spain, გვ.48. ხელმისაწვდომია: <http://www.difederico-giustizia.it/wp-content/uploads/2010/09/recruitment-evaluation-and-career.pdf> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 1 დეკემბერს).

⁵⁵ იქვე.

სკოლაში მისაღები კონკურსის გამოცხადებაზე უარის თქმის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.

- მისაღები მსმენელთა რაოდენობის შესახებ გადანყვეტილების მიღება უნდა დაეფუძნოს სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა არსებულ რაოდენობას, უახლოეს მომავალში მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის გასვლისა (ვადიანი დანიშვნის შემთხვევაში) და საპენსიო ასაკის მიღწევის მაჩვენებელს, მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ობიექტურ საჭიროებებსა და ზოგადად, მართლმსაჯულების ინტერესებს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უნდა დაამტკიცოს მისაღები მსმენელთა რაოდენობა.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ანგარიშში დეტალურად უნდა აისახოს ის გარემოებები და ფაქტორები, რაც საფუძვლად დაედო სკოლაში მისაღები მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრას.
- მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სამართლიანი სისტემის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის კომპეტენციების სამართლიანი და ობიექტური გამიჯვნა. მიზანშეწონილია, შეიზღუდოს საბჭოს ხელში კონცენტრირებული ფართო უფლებამოსილება და სკოლამ კონკურსის საფუძველზე თავად შეარჩიოს იუსტიციის მსმენელები. ამგვარი რეგულირება მნიშვნელოვანი გარანტია იქნება სკოლის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სისტემის გაჯანსაღებასა და არსებული რისკების თავიდან აცილებას.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა შერჩევის ახალი

კანონმდებლობის მიმოხილვა

მოქმედი კანონმდებლობით, კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ქმედუნარიან, ნასამართლობის არმქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო

გამოცდა⁵⁶. შესაბამისად, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელის ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება. კერძოდ, აღნიშნული გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით საბჭო თავისი რეგლამენტით დადგენილი წესით ქმნის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას და ამტკიცებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და დებულებას.⁵⁷ საბჭო ასევე ამტკიცებს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს, საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამასა და გამოცდაში მონაწილეობის საფასურს.⁵⁸

სკოლაში მისაღები კონკურსის გამოცხადების შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იწყებს იუსტიციის მსმენელობის კანდიდატების შერჩევას. საკონკურსო წესით შერჩევის კრიტერიუმები და შერჩევის ეტაპები განწერილია იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებით.

პირველ ეტაპზე კანდიდატების შერჩევა ხდება წარმოდგენილი დოკუმენტებით (განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის სერტიფიკატი, სამედიცინო-ნარკოლოგიური ცნობა, პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა ნასამართლობის შესახებ და ფოტოსურათი⁵⁹ კანდიდატის დაუსწრებლად. მეორე ეტაპზე გასვლის უფლება ეძლევა კანდიდატს, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებით მიესა დადებითი შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია გასაუბრებამზე მოიწვიოს მხოლოდ მეორე ეტაპზე გასული კანდიდატები⁶⁰. იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს, მორალურ რეპუტაციას, პიროვნულ თვისებებს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, კვალიფიკაციას, გამოხატვის უნარს, ანალიტიკურ აზროვნებასა და გადაწყვეტილების მიღების უნარს.⁶¹ ამასთან, პიროვნული თვისებების კრიტერიუმის მიხედვით უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია სხვა კრიტერიუმების შეუფასებლად

56 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-12 და 38-ე მუხლები.

57 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

58 იქვე, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

59 საჯარო სამართლის იურიდიული პირის- იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-6 მუხლი.

60 იქვე, მე-81 მუხლი.

61 იქვე, მე-8 მუხლი.

მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება.⁶²

ახლებული სამართლებრივი ჩარჩოს სახეზეები

მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საბჭო ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების პროცესში. ასევე პრობლემურია ის ფაქტიც, რომ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრების შესარჩევი კრიტერიუმები და შერჩევის წესი ორგანული კანონით არ რეგულირდება.

მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს სკოლის მსმენელთა შერჩევის ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე პროცესს. საკანონმდებლო დონეზე არ არის დადგენილი მსმენელთა შერჩევის ობიექტური და ცხადი კრიტერიუმები, რაც თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკს წარმოშობს. ამასთან, არ არის განსაზღვრული კონკრეტულად რა ინფორმაციას და წყაროებს ეყრდნობა საბჭო კანდიდატის შეფასებისას, რაც შერჩევის პროცესს ბუნდოვანს და გაუმჭვირვალეს ხდის.

პრობლემურია კონკურსის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის პროცესი. არსებული სამართლებრივი ჩარჩო კონკურსში მონაწილეობისათვის მინიმალურ მოთხოვნებს ადგენს. კერძოდ, სკოლაში ჩარიცხვის ეტაპზე კანდიდატს არ მოეთხოვება ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ასევე არ მოეთხოვება სპეციალობით მუშაობის გამოცდილება, რაც შემდგომ მოსამართლედ დანიშვნის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.⁶³ ამგვარი რეგულირების პირობებში, შესაძლებელია იუსტიციის მსმენელის მომზადებაზე დაიხარჯოს გარკვეული რესურსი, თუმცა, შემდგომ მან ვერ დააკმაყოფილოს მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული ფორმალური მოთხოვნები, რაც ფაქტობრივად აზრს დაუკარგავს იუსტიციის მსმენელის მიერ სასწავლო კურსის გავლას. სწორედ ამიტომ არსებითად მნიშვნელოვანია, მსმენელობის კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები მაქსიმალურად მიახლოებული იყოს იმ სტანდარტთან, რაც მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად არის კანონმდებლობით დადგენილი.

მოქმედი კანონმდებლობა შერჩევის ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს იუსტიციის მსმენელთა კვალიფიკაციის სათანადო დონეს, რაც შემდეგ უარყოფითად აისახება მსმენელთა მომზადებასა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის

62 იქვე, მე-8 მუხლი.

63 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 34.

წარმართვაზე. გამოკითხული რესპონდენტები ხშირად უთითებდნენ, რომ პრობლემურია მსმენელთა კვალიფიკაცია. მაგალითისათვის, რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა საერთო ღონიდან გამომდინარე, შეუძლებელია ტრენინგები უფრო ღრმად მიმოიხილავენ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებს.

გარდა ამისა, კანონმდებლობა არ არეგულირებს მსმენელთა შერჩევას პროცესში ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევებს, ასევე არ ითვალისწინებს არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვას, რაც პრაქტიკაში შესაძლოა ეჭვქვეშ აყენებდეს კონკურსის ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმართვას.

არსებული წესი ასევე არ ითვალისწინებს კანდიდატთა შეფასებას ქულათა სისტემით და მიღებული გადანყვეტილების დასაბუთებას, ასევე არ უზრუნველყოფს გასაჩივრების ეფექტურ მექანიზმს, რაც ჩატარებული კონკურსისა და მიღებული გადანყვეტილების სამართლიანობისა და ობიექტურობის შეფასებას შეუძლებელს ხდის. სათანადო რეგულირების არარსებობა ასევე წარმოშობს ფავორიტიზმის, ნეპოტიზმისა და გადანყვეტილებების სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე მიღების რისკებს.

აღნიშნულის გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის მსმენელად მიღება მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის ერთიანი სისტემის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს, კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცესის საკანონმდებლო აქტის ნაცვლად სკოლის წესდებით დარეგულირება არსებული სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს. სამართლებრივი თვალსაზრისით პრობლემურია ისიც, რომ სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესდება ადგენს ნორმებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის.


აღსანიშნავია, რომ სასამართლო სისტემის სტრატეგიის იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა მსმენელად მიღების პროცესის გაუმჯობესებას, მათ შორის, მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმების განახლებასა და პროცედურის დახვეწას (3.2.1.2), ასევე, მსმენელთა გასაუბრების პროცესის დახვეწას (3.2.1.4.), თუმცა, ამ მიმართულებით არავითარი ღონისძიებები არ გატარებულა.⁶⁴

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის⁶⁵

64 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 34. (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), გვ. 30-33. ხელმისაწვდომია: https://id.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/general/GEO_WEB.pdf (ბოლოს ნანახია 2019 წლის 26 იანვარს).

65 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 1 ავგისტოს N 1710/2209-03 წერილი.

თანახმად, 2013-2015 წლებში ჯამში იუსტიციის მსმენელთა მისაღებ კონკურსში დარეგისტრირდა 354 პირი, მეორე ეტაპზე დაშვებულ იქნა 320 პირი, ხოლო იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხა 47 პირი.



აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობა მეორე ეტაპზე დაშვებულ კანდიდატთა რაოდენობის მხოლოდ 14,7%-ს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში მისაღები კონკურსი ვერ აკმაყოფილებს გამჭვირვალობის მოთხოვნებს და მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთებული არ არის, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებით შეუძლებელია დასკვნის გაკეთება კონკურსში დარეგისტრირებულ კანდიდატთა კვალიფიკაციის თაობაზე, ასევე რთულია შეფასდეს რამდენად ობიექტურად და სამართლიანად ჩატარდა კონკურსი. ეფექტური გასაჩივრების მექანიზმის არარსებობა შეუძლებელს ხდის ვიმსჯელოთ, რამდენად სამართლიანი იყო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმ კანდიდატებთან დაკავშირებით, რომელთაც უარი ეთქვათ სკოლაში ჩარიცხვაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ მათი მიზანია შეარჩიონ საუკეთესო მსმენელები, შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები მსმენელების მიღებაც ხდებოდეს.

რაც შეეხება იუსტიციის მსმენელების მიღების კრიტერიუმებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების აზრით, შესაძლოა დაფიქრება იმაზე, თუ რა უნდა დაემატოს არსებულ კრიტერიუმებს, თუმცა, ერთიანობაში არსებული მოდელი

თავის ფუნქციას ასრულებს. მათივე თქმით, არცერთი მსმენელი არ ჩარიცხულა სკოლაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან გასაუბრების გარეშე და ამ მხრივ კანონმდებლობა პრობლემური არ არის.

იუსტიციის მსმენელთა შერჩევასთან, მათ შორის, შერჩევის კრიტერიუმების ობიექტურობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ კითხვებზე იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ ამ საკითხებზე არ უმუშავიათ. აღნიშნულის მიზეზად მათი მხრიდან დასახელდა ის, რომ ეს საკითხები კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. თუმცა, მათი თქმით, ისინი ამ ნაწილში შეეცდებიან გაითვალისწინონ არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციები. ზოგადად, მათ აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს ბევრი სხვადასხვა რეკომენდაციის იმპლემენტაცია და იუსტიციის უმაღლეს სკოლას აქვს Twinning-ის პროგრამა⁶⁶, რომლის ფარგლებში უამრავი რეკომენდაციის შემუშავება ხდება.

სხვა ქვეყნების გამოცდილება

პორტუგალიაში სკოლის მსმენელთა შესარჩევად იქმნება სპეციალური კომისია. მოსამართლეთა სასწავლო ცენტრის (CEJ) დირექტორი პასუხისმგებელია კონკურსზე დარეგისტრირებულ კანდიდატთა რაოდენობის გათვალისწინებით განსაზღვროს შესარჩევი კომისიის წევრთა რაოდენობა. წერილობითი ტესტის შემმონმებელი კომისია მინიმუმ სამი წევრისგან უნდა შედგებოდეს. მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პროპორცია: მოსამართლე, პროკურორი, იურისტი ცნობილი თავისი საქმიანობით ან პირი, რომელიც ცნობილია თავისი საქმიანობით მეცნიერების და კულტურის სხვა სფეროდან. ზეპირი გამოცდის კომისია შედგება მინიმუმ ხუთი წევრისგან შემდგომი განაწილების დაცვით: ორი მოსამართლე ან პროკურორი, სამი იურისტი ცნობილი თავისი საქმიანობით ან ისეთი პირი, რომელიც ცნობილია თავისი საქმიანობით მეცნიერების და კულტურის სხვა სფეროდან ან სამოქალაქო სექტორში. კომისიის მოსამართლე წევრები ინიშნებიან შესაბამისი უმაღლესი საბჭოს მიერ, დანარჩენი სამი წევრი იუსტიციის მინისტრის მიერ, სხვა შემთხვევაში CEJ დირექტორის მიერ. CEJ დირექტორი ასევე ნიშნავს თითოეული კომისიის თავმჯდომარეს. გამოცდამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე კომისიის შემადგენლობა ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით

⁶⁶ ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სამოსამართლო სწავლების ხელშეწყობა ტვინინგის პროექტის მეშვეობით“ ძირითადი მიზანია იუსტიციის უმაღლესი სკოლის მხარდაჭერა ინსტიტუციური მონაცემებისა და სასწავლო პროგრამების დაახლოებაში ევროკავშირის სტანდარტებთან. პროექტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2t1SrhR> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 26 იანვარს).

ორგანოში და CEJ ვებგვერდზე⁶⁷. წერილობითი გამოცდის შეფასებისას დაცულია კანდიდატის ანონიმურობის პრინციპი.

შესარჩევი ეტაპი მოიცავს ცოდნის შემოწმებას, გამოცდილების შეფასებას და ფსიქოლოგიურ შემოწმებას⁶⁸. ცოდნის შემოწმება თავის მხრივ ხდება ორ ეტაპად, ეს არის წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა, რომელიც შეეხება იმ თემატიკას, რომელიც უნდა მიეთითოს კონკურსის გამოცხადების ცნობაში. პირები, რომელთაც აქვთ მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი ან არანაკლებ ხუთწლიანი პროფესიული გამოცდილება და აკმაყოფილებენ სხვა ზოგად მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებულია საჯარო ფუნქციების განხორციელებისთვის, ზეპირი გამოკითხვის მაგიერ დაექვემდებარებიან გამოცდილების შეფასებას⁶⁹. წერილობითი ეტაპის შემოწმება მიზნად ისახავს, შეაფასოს აპლიკანტის ინფორმაციის გადმოცემის ხარისხი, საქმეში გამოსაყენებელი კანონის მისადაგების უნარი, ანალიზის, სინთეზისა და რელევანტურობის გამოვლენა, ენის ცოდნა. წერილობითი გამოცდა უნდა ემსახუროდეს შემდგომის დადასტურებას:

- ა) სამოქალაქო და სამენარმეო სამართლის, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის გამოყენება და საქმის გადაწყვეტა;
- ბ) სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენება და საქმის გადაწყვეტა;
- გ) კულტურული, სოციალური თუ ეკონომიკური განვითარება⁷⁰.

კანდიდატს აქვს წერილობითი ეტაპის გასაჩივრების შესაძლებლობა.

ზეპირი გამოკითხვის მიზანია განმცხადებლის კრიტიკული მსჯელობის, არგუმენტაციისა და გამომხატველობითი უნარების შეფასება. გამოკითხვის სფეროები 48 საათით ადრე უნდა იყოს ცნობილი. ზეპირი გამოკითხვა შემდეგი სახის ცოდნის დადასტურებას ემსახურება: საკონსტიტუციო სამართლის, ევროკავშირის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, სამენარმეო სამართლის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, შრომის სამართლის, ბავშვთა

⁶⁷ პორტუგალიის კანონი მოსამართლეთა კანდიდატების მიღების, ტრენინგის და მოსამართლეთა სასწავლო ცენტრის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ, N2/2008, მე-13 მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2rs1qaQ> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 2 დეკემბერს).

⁶⁸ იქვე, მე-14 მუხლი.

⁶⁹ იქვე, მე-15 მუხლი.

⁷⁰ იქვე, მე-16 მუხლი.

სამართლის ცოდნა და ამ სფეროებზე დისკუსიის უნარი⁷¹.

გამოცდილების შეფასება ემსახურება კანდიდატის პროფესიული გამოცდილების თანმიმდევრულობის და სასამართლო სისტემაში მუშაობის მიზნებთან შესაბამისობის დადგენას. ეს ეტაპი მოიცავს კანდიდატის გამოცდილებაზე საუბარს და სამართლებრივ საკითხებზე დისკუსიას. კანონით დადგენილია რა პროცენტული წილი უნდა გაითვალისწინოს ამ ეტაპის შეფასებისას გამსაუბრებელმა, მაგალითად, პროფესიული გამოცდილებისთვის ან დისკუსიის უნარისთვის⁷².

პირი ასევე გადის ფსიქოლოგიურ შემოწმებას, რომელსაც ატარებს იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული დამოუკიდებელი კომპეტენტური დანესებულება. ფსიქოლოგიური შემოწმების ფარგლებში ფასდება პირის შესაძლებლობები და ხასიათი მოსამართლის ფუნქციის შესრულების მიზანთან მიმართებით. შედეგი ორგანოა - დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი, რაც წერილობითი ფორმით ეცნობება შემფასებელ კომისიას ზეპირი გამოკითხვისთვის⁷³.

საბოლოო ტესტირების შემდგომ შეფასების კომისია იკრიბება და ადგენს წარმატებულ კანდიდატთა სიას, ასევე ამზადებს დასაბუთებულ უარს წარუმატებელი კანდიდატების შემთხვევაში. კანონმდებლობა ცხად და მკაცრ სახელმძღვანელო პრინციპებს ადგენს, თუ როგორ უნდა შეათვასოს კომისიამ ყოველ ეტაპზე კანდიდატის ცოდნა და მოსამართლის პოზიციასთან მისი შესაბამისობა. საბოლოო სიას ამონიშნებს CEJ დირექტორი⁷⁴.

დანის სამეფოში სასამართლო ადმინისტრაცია მოსამართლის თანაშემწეობის მსურველი კანდიდატების შემოწმებისას შეისწავლის მათ განათლებას, გამოცდილებას, წინა დამსაქმებელთა რეკომენდაციებს, ტრენინგების შესახებ ინფორმაციას და შემდეგ ატარებს გასაუბრებას.⁷⁵

საფრანგეთის ეროვნულ სამოსამართლო სკოლაში მისაღები სამი სხვადასხვა ტიპის გამოცდა ერთი და იმავე ფორმატით ტარდება, გარდა მცირე გამონაკლისისა, რაც კანდიდატთა კატეგორიების სპეციფიკური მახასიათებლებით არის განპირობებული.⁷⁶ გამოცდა მოიცავს წერით და ზეპირ

71 იქვე, მე-19 მუხლი

72 იქვე, მე-20 მუხლი.

73 იქვე, 21-ე მუხლი.

74 იქვე, 26-ე მუხლი.

75 Experience of initial training of candidates for a post of judge and newly appointed judges in the member States of European Union, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zLYIXo> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

76 Recruitment, Professional Evaluation and Career of Judges and Prosecutors in Europe: Austria, France, Germany, Italy, The Netherlands and Spain, გვ.48. ხელმისაწვდომია: <http://www.difederico-giustizia.it/wp-content/uploads/2010/09/recruitment-evaluation-and-career.pdf> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 1 დეკემბერს).

კომპონენტებს. გამოცდის პირველი ნაწილი წერიტია, რომელიც ანონიმურია, ხოლო მეორე ნაწილი ზეპირია და სხვა საკითხებთან ერთად ასევე მოიცავს სამართლებრივი თემატიკის შეკითხვებსა და უცხო ენის ცოდნის შემფასებელ შეკითხვებსაც.⁷⁷

საგამოცდო საბჭო როგორც წესი შედგება სასამართლო სისტემის წევრებისაგან, უნივერსიტეტის პროფესორებისაგან, სახელმწიფო საბჭოს წევრისა და სხვა პირებისაგან.⁷⁸

დასვენა და ჩუქმუნდაციები

არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი და სხვა ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მსმენელობის კანდიდატებისადმი წაყენებული მოთხოვნები ხარვეზიანია, პრობლემურია შერჩევის კრიტერიუმების, ასევე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და გასაჩივრების გარანტიების არარსებობა საკანონმდებლო დონეზე. ამგვარი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა დაუსაბუთებელი და მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეს ქმნის, რაც ზიანს აყენებს კვალიფიციური, კომპეტენტური და დამოუკიდებელი მოსამართლეებით სასამართლო სისტემის დაკომპლექტების მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს.

იუსტიციის მსმენელთა შერჩევის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ვინაიდან საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება სკოლაში მსმენელის ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებასა და ჩატარებაზე, ასევე კომისიის შექმნაზე პასუხისმგებელ ორგანოდ იუსტიციის უმაღლესი სკოლა განისაზღვროს. ასევე, აუცილებელია საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრების შესარჩევი კრიტერიუმი და შერჩევის წესი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დარეგულირდეს.
- მიზანშეწონილია გაიზარდოს იუსტიციის მსმენელისადმი წაყენებული ფორმალური მოთხოვნები და უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალური დაახლოება იმ სტანდარტთან, რაც მოსამართლეობის კანდიდატის

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იქვე.

მიმართ არის დადგენილი⁷⁹. კანონით უნდა განისაზღვროს, რომ მსმენელობის კანდიდატს მოეთხოვება მაგისტრის ხარისხი და სათანადო სამუშაო გამოცდილება.

- არსებითად მნიშვნელოვანია, მსმენელთა შერჩევის ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმები, ასევე კონკურსის ჩატარების წესი ნათლად იყოს რეგულირებული საკანონმდებლო დონეზე, შეფასება განხორციელდეს ქულათა სისტემის მეშვეობით, ხოლო კონკურსის შედეგად მიღებული გადანყვეტილება იყოს სათანადოდ დასაბუთებული.
- კანონმა უნდა დაარეგულიროს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებიც, რაც კანდიდატს შესაძლებლობას მისცემს მოითხოვოს შემფასებლის აცილება, თუ სახეზეა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის ამ პირის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას. თავის მხრივ, შემფასებელიც ვალდებული უნდა იყოს განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღოს კანდიდატის გასაუბრებისა და შეფასების პროცესში.
- მნიშვნელოვანია კანონით დადგინდეს არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვა, რაც გულისხმობს კანონმდებლობით დადგენილი წესების გვერდის ავლით კომუნიკაციას მსმენელობის კანდიდატთან დაკავშირებით, როგორც მის მხარდასაჭერად, ისე საწინააღმდეგოდ.
- ასევე, აუცილებელია გადანყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის არსებობა საკანონმდებლო დონეზე. კანდიდატებს, რომელთაც უარი ეთქვათ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვაზე, უნდა შეეძლოთ გადანყვეტილების გასაჩივრება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში.

⁷⁹ ორგანული კანონით გათვალისწინებულია, რომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სახსრვლო ჰომოჯენი იუსტიციის უმაღლეს საოლაში

ჯანონმდებლობის მიმოხილვა

იმ პირებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონკურსს, ენიჭებათ იუსტიციის მსმენელის მონმობა და ირიცხებიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში⁸⁰. მსმენელები იღებენ სტიპენდიას, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მინიმალური ხელფასის არანაკლებ $\frac{1}{4}$ უნდა იყოს⁸¹. გარდა ამისა, სკოლაში სწავლის პერიოდი სპეციალობით მუშაობის სტაჟში ითვლება⁸².

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლება გრძელდება 10 თვის განმავლობაში. 10 თვიანი კურსი მოიცავს სამ ეტაპს, კერძოდ, თეორიულ კურსს, სტაჟირებასა და სემინარულ მუშაობას. თეორიული კურსის ხანგრძლივობა არის 5 თვე, სტაჟირების - 4 თვე, ხოლო სემინარული მუშაობის - 1 თვე⁸³. კურსის ხანგრძლივობა გამონაკლისის სახით 6 თვეა მსმენელისთვის, რომელსაც არანაკლებ 10 წლის განმავლობაში უმუშავია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, საერთო სასამართლოს აპარატის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანამშენედ, სასამართლო სხდომის მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან/და ადვოკატად.⁸⁴ ამ შემთხვევაში, თეორიული კურსი გრძელდება 5 თვე, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის კურსი - ნახევარ-ნახევარი თვე⁸⁵.

სკოლაში სწავლების ძირითადი ფორმებია: სემინარი, სასამართლო პროცესის სიმულაცია, დისკუსია, სწავლება სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების საკითხებზე, საღამოს სწავლება, აგრეთვე სხვა ფორმები, რომლებსაც სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო. სასწავლო პროგრამის ფარგლებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს იუსტიციის მსმენელის მოკლევადიანი მივლინებები სასამართლოსა და პროკურატურაში⁸⁶.

⁸⁰ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-15 მუხლი.

⁸¹ იქვე, მე-16 მუხლი.

⁸² იქვე, მე-18 მუხლი.

⁸³ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-13 მუხლი.

⁸⁴ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁵ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-13 მუხლი.

⁸⁶ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 21-ე მუხლი.

პიხველი ეტაპი

პირველი ეტაპის (თეორიული კურსის) დასასრულს ტარდება გამოცდა, რომელიც მოიცავს ტესტურ და ზეპირ ნაწილს. საგამოცდო კომისია მინიმუმ 4 წევრისგან შედგება, რომლებიც როგორც წესი, არიან სამართლის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები⁸⁷. საგამოცდო კომისიის შემადგენლობას სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო⁸⁸.

დამოუკიდებელი საბჭო ადგენს, თუ რა საკითხებისგან უნდა შედგებოდეს ტესტური გამოცდა, ხოლო თავად ტესტებს არჩევს საგამოცდო კომისია. ტესტური გამოცდის მაქსიმალური შედეგია 70 ქულა (გამსვლელი ქულა - 50). ზეპირ გამოცდაზე გასვლის უფლებას მსმენელი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს, თუკი მან ტესტური გამოცდის წარმატებით დაძლევა შეძლო. ზეპირი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა (გამსვლელი ქულა - 20)⁸⁹.

მეოხე ეტაპი

ზეპირი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ იუსტიციის მსმენელი გადადის მეორე (სტაჟირების) ეტაპზე, რომლის ფორმებიც არის სავალდებულო სტაჟირება საერთო სასამართლოებში და ალტერნატიული სტაჟირება (გამწესება ხდება მსმენლის სურვილის გათვალისწინებით ნოტარიატში, პროკურატურაში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, რომელთა ჩამონათვალს სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო)⁹⁰.

სტაჟირების კოორდინატორები შესაძლოა იყვნენ მოსამართლეები, პროკურორები ან სხვა დანესებულების ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ინიშნებიან სკოლის დირექტორის მხრიდან დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დანიშნული სტაჟირების ხელმძღვანელის წარდგინებით.⁹¹ სტაჟირების კოორდინატორების შერჩევისას, როგორც წესი, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები: ა) კანდიდატის მიერ, შესაბამის თანამდებობაზე, უფლებამოსილების განხორციელების ხანგრძლივობა; ბ) სტაჟირების კოორდინატორის გამოცდილება; გ) სტაჟირების პერიოდში სტაჟირების

⁸⁷ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁸ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 23-ე მუხლი.

⁸⁹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-16 მუხლი.

⁹⁰ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 24-ე მუხლი.

⁹¹ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 25-ე მუხლი.

კოორდინატორის ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობა; დ) კანდიდატის სურვილი შეასრულოს სტაჟირების კოორდინატორის ფუნქცია. სტაჟირების კოორდინატორის შერჩევას, შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას იუსტიციის მსმენელთა გამოკითხვის საფუძველზე მიღებული სტაჟირების კოორდინატორითა შეფასების შედეგები.⁹²

კოორდინატორების ფუნქციაში შედის იუსტიციის მსმენელების სტაჟირების ზედამხედველობა, საკვალიფიკაციო ქულების მინიჭება და წერილობითი რეკომენდაციების წარდგენა, ხოლო ბოლოს სტაჟირების ხელმძღვანელისათვის სტაჟირების ანგარიშის წარდგენა.⁹³

კოორდინატორის მიერ მსმენელის ყოველდღიური შეფასება ერთქულიანი სისტემით ხდება, რომელიც ხუთ სხვადასხვა დონეს მოიცავს. ქულები განაწილებულია იმის მიხედვით, თუ რა ხარისხით ასრულებს მსმენელი დავალებას და რამდენად არის მიზანი მიღწეული. სტაჟირება წარმატებულად ითვლება მაქსიმალური ქულის არანაკლებ 2/3-ის დაგროვების შემთხვევაში. რაც შეეხება კოორდინატორის მიერ გაცემულ რეკომენდაციას, იგი მოიცავს მსმენელის პიროვნული თვისებების, საქმისადმი დამოკიდებულების, გამოვლენილი პროფესიული თვისებების, შესრულებული სამუშაოს სახეებისა და სხვა მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას.⁹⁴

სტაჟირების დასასრულს თავის მხრივ წერილობით ანგარიშს წარადგენს იუსტიციის მსმენელიც, რომელიც აგრეთვე წერს ნაშრომს სტაჟირების ორგანოს ფუნქციონირების, იქ არსებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების თაობაზე. წერილობითი ანგარიში და ნაშრომი წარედგინება სტაჟირების ხელმძღვანელს, ილუქება და ერთვება იუსტიციის მსმენლის პირად საქმეს.⁹⁵

მესამე ეტაპი

მეორე ეტაპის დასასრულს იწყება მესამე - სემინარული მუშაობა, რომლის მიზანია წინა ორ ეტაპზე დაგროვილი ცოდნის განზოგადება და დამამთავრებელი გამოცდისათვის მომზადება⁹⁶. სემინარის ხელმძღვანელი თითოეულ მსმენელზე აღდგენს სემინარული მუშაობის აღწერის ფორმას. იუსტიციის მსმენელის შესახებ სემინარული მუშაობის აღწერის ფორმა ძირითადად მოიცავს თვისობრივად იმავე სახის ინფორმაციას, რასაც

92 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-17 მუხლი.

93 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 25-ე მუხლი.

94 საჯარო სამართლის იურიდიული პირის- იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-17 მუხლის მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტები.

95 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 26-ე მუხლი.

96 იქვე, 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

სტაჟირების კოორდინატორის რეკომენდაციის ფორმა⁹⁷.

ახსებული სამაჩთლები ჩაჩოს ხაჩვები

არსებული სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვან ხარვეზებს წარმოადგენს სასწავლო კურსის არასაკმარისი ხანგრძლივობა და ერთგვაროვანი სასწავლო პროგრამა სხვადასხვა კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მსმენელებისათვის.

გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ შესაძლოა სტიპენდიების სიმცირე იწვევდეს იმას, რომ იურიტები ნაკლებად არიან დაინტერესებული გახდნენ მოსამართლეობის კანდიდატები, ვინაიდან ტრენინგების პერიოდში მათ უწევთ დატოვონ სამუშაო ადგილები და სრული დრო დაუთმონ იუსტიციის უმაღლეს სკოლას, მცირე სტიპენდიის ხარჯზე. აღნიშნული პრობლემა მით უფრო მწვავედება იმის გამო, რომ არ არსებობს გარანტიები, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი შემდეგ ავტომატურად გახდება მოსამართლე და, შესაბამისად, მისი დროითი რესურსი ფუჭად დახარჯული არ აღმოჩნდება.

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი მდგომარეობით, სტიპენდიის ოდენობა პრობლემური აღარ არის. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მონოდედებული ინფორმაციით, პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის გაზრდილ ბიუჯეტს⁹⁸ მსმენელების სტიპენდიის ნაწილში. სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 2019 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით, სტიპენდიის ოდენობა ყოველთვიურად 2000 ლარი გახდა⁹⁹. შესაბამისად, იუსტიციის მსმენელების ახალი ჯგუფი ისარგებლებს გაზრდილი სტიპენდიით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სწავლების ხანგრძლივობას თითქმის ყველა რესპონდენტი არასაკმარისად მიიჩნევს. მაგალითად, სკოლის ერთ-ერთი კურსდამთავრებული აღნიშნავს, რომ სწავლება უაღრესად დიდი სტრესის ფონზე მიმდინარეობს, ვინაიდან დროის სიმცირიდან გამომდინარე ტრენინგები კვირაში ექვსი დღის განმავლობაში დილის 10 საათიდან საღამოს 8-9 საათამდე ტარდება, რა დროსაც მსმენელები მუდმივად არიან სკოლაში. ზოგჯერ კი ტრენინგები კვირასაც ტარდება. მისი აზრით, ამგვარი

⁹⁷ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹⁸ სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), გვ. 29.

⁹⁹ <https://www.hsoj.ge/uploads/01-9-19.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 10 მარტს).

ინტენსიური პროცესი დამლულელია მსმენელებისათვის და შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ ტრენინგების ვადა (10 თვე) არის ძალიან მცირე და ინტენსიური სწავლების პირობებშიც შეუძლებელია საჭირო საკითხების სრულად დაფარვა.

აღნიშნულის მსგავსად, სხვა რესპონდენტის აზრით, მთავარი პრობლემა, რის გამოც მოსამართლეობის კანდიდატების მომზადების პროგრამა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ პირები შემდგომში გახდნენ მოსამართლეები, დროა. მისი აზრით, აუცილებელია გაიზარდოს ვადა, რათა პროგრამამ სრულყოფილად მოიცვას მნიშვნელოვანი საკითხები. ასევე ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით: „ხანგრძლივობა არის უმთავრესი პრობლემა, რადგან ხანგრძლივობა თუ არ გაიზარდება, ხარისხი ვერ გაიზარდება... სწავლის ხანგრძლივობა თუ არ გაიზარდა, ვერანაირი რეფორმა ვერ მოხდება, რადგან შეუძლებელია იმაზე მეტი შინაარსის ჩადება პროგრამაში, ვიდრე ახლაა.“

გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, უმთავრესი პრობლემა ის იყო, რომ მთელ ჯგუფს ერთად უტარდებოდათ ტრენინგები და, შესაბამისად, შესაძლოა ერთსა და იმავე სემინარზე ყოფილიყვნენ ერთმანეთისაგან ცოდნით განსხვავებული კანდიდატები, რაც ტრენინგს არ აძლევდა შესაძლებლობას, რომ სიღრმისეულად განეხილა სხვადასხვა სამართლებრივი საკითხი. ასევე პრობლემური იყო ის, რომ ძირითად შემთხვევაში ტრენინგები მორგებული არ იყო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად აუცილებელ მეთოდებს და ძირითადად თეორიული ხასიათის სწავლებით შემოიფარგლებოდა.

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, იუსტიციის უმაღლესი სკოლა არ უნდა იქნას მოაზრებული, როგორც სასწავლო დაწესებულება, რადგან მისი როლი უნარ-ჩვევების გამომუშავება უნდა იყოს. მისი თქმით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ გამოყენებული პროგრამა შესაცვლელია იმ ნაწილში, რომ იგი უფრო მეტად ორიენტირებული გახდეს სწორედ სამოსამართლო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და არა მხოლოდ კონკრეტული დარგის სამართლის სწავლებასა ან თუნდაც გამეორებაზე. დამატებითი ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის უფლებათა სფეროს, საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკასა და, ზოგადად, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტების საქმიანობის გაცნობას. მისი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სამართლის ფილოსოფიის საკითხებზე და არა მხოლოდ პროცესუალურ საკითხებზე, რადგან საჭიროა მოხდეს მსმენელისათვის მოსამართლის პროფესიასთან მიმართებით დამოკიდებულების, მგრძობელობის გაღვივება.


სტაჟირებასთან დაკავშირებით, რაც სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, აღინიშნა, რომ ერთგვაროვანი პრაქტიკა არ

არის. მაგალითად, ერთ-ერთი მსმენელის თქმით, პირადად მას გაუმართლა სტაჟირების ხელმძღვანელში, რადგან თავად ის პიროვნულად იყო ორიენტირებული ხელმძღვანელთან ყოველდღიურ კონტაქტზე. ეს იყო კონკრეტულად მისი დამსახურება და არა კარგად აწყობილი სისტემის, რადგან ზოგიერთი მსმენელი ზოგჯერ ორი კვირის განმავლობაშიც კი არ ნახულობდა ხელმძღვანელს. მისი ინფორმაციით, სხვა მსმენელებს არ აძლევდნენ შენიშვნას, როგორ უნდა გაეუმჯობესებინათ ნაწერი. მიუხედავად მისი ხელმძღვანელის ძალიან დიდი კონტრიბუციისა, მსმენელი მიიჩნევს, რომ მან მხოლოდ წერილობითი უნარების განვითარება შეძლო. სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შექმნა მან ვერ მოახერხა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასევე აღნიშნა, რომ სტაჟირებისას ყველა კანდიდატს შესაძლებლობა არ აქვს დაწეროს გადანაცვლებების პროექტი.

უნდა აღინიშნოს, რომ სტაჟირების კომპონენტს არსებითი დატვირთვა აქვს მსმენელის პრაქტიკული კუთხით მომზადებისას მოსამართლის პოზიციის დასაკავებლად. აუცილებელია, რომ სტაჟირების კოორდინატორებს ჰქონდეთ იუსტიციის მსმენელთათვის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების, ასევე მათი საქმიანობის ზედამხედველობისათვის სათანადო უნარები. აქედან გამომდინარე, სტაჟირების კოორდინატორების შერჩევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის წესდებით დადგენილია გარკვეული კრიტერიუმები, რომელსაც კოორდინატორი უნდა აკმაყოფილებდეს, შერჩევის პროცესი ბუნდოვანია, ვინაიდან შერჩევა ხდება იმ ორგანოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით, სადაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი სტაჟირება. შესაბამისად, არსებული რეგულირება ვერ უზრუნველყოფს სტაჟირების კოორდინატორთა შერჩევის ობიექტურ და გამჭვირვალე პროცესს.

გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის მითითებით, სტაჟირების შეფასების სისტემა არ არის ადეკვატური. მისი აზრით, მართალია, შესაძლოა ქულების გრადაცია იყოს 1-დან 5-მდე, თუმცა, ერთიანად მთელი დღის შეფასება 1-დან 5 ქულამდე არ არის მიზანშეწონილი და ადეკვატური. მისი აზრით, დეტალურად უნდა იყოს განწერილი, რის მიხედვით ხდება შეფასება, რადგან „შეუძლებელია უნივერსალური შეფასება. უნდა იყოს ჩამოლილი წერიითი უნარების კომპონენტი და ა.შ.“

იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2013-2016 წლების განხორციელებული რეფორმის ანგარიშში¹⁰⁰ მითითებული მონაცემებისა და სკოლის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის¹⁰¹ თანახმად, 2013-2015 წლებში ჩარიცხულ მსმენელთაგან სწავლა წარმატებით დაასრულა 46 მსმენელმა.¹⁰²



აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ სკოლაში ჩარიცხული თითქმის ყველა მსმენელი წარმატებით ასრულებს სასწავლო კურსს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სწავლების ხანგრძლივობა და სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული ხარვეზები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროცესის გასაუმჯობესებლად მუდმივი კომუნიკაცია აქვთ სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრებთან. კერძოდ, სკოლის წარმომადგენლები მათთან ერთად განიხილავენ სწავლებასთან

¹⁰⁰ იუსტიციის უმაღლესი სკოლა, განხორციელებული რეფორმის ანგარიში (2013-2016 წლები), 2017 წ. ხელმისაწვდომია: <http://www.hsoj.ge/uploads/angarishi2013-2016-.pdf> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 9 აგვისტოს).

¹⁰¹ იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2018 წლის 30 ივლისის N02/2080 წერილი.

¹⁰² იუსტიციის უმაღლესი სკოლა, განხორციელებული რეფორმის ანგარიში (2013-2016 წლები), 2017 წ. ხელმისაწვდომია: <http://www.hsoj.ge/uploads/angarishi2013-2016-.pdf> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 9 აგვისტოს). 2015 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხა 20 მსმენელი, ხოლო სწავლა წარმატებით დაასრულა 21-მა მსმენელმა. როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, აღნიშნული იმით არის განპირობებული, რომ 2015 წელს სწავლა დაამთავრა წინა წლებში ჩარიცხულმა მსმენელმა.

დაკავშირებულ შინაარსობრივ საკითხებს. სკოლა ორივე მხარისაგან, როგორც მსმენელების, ისე მასწავლებელთა საბჭოს წევრებისაგან იღებს ინფორმაციას და შემდეგ ადგენს, რა არის შესაცვლელი.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლების მითითებით, პრობლემურია მსმენელთა სწავლის ხანგრძლივობა, რადგან ათი თვე არ არის საკმარისი. გარდა ამისა, შეუძლებელია სკოლა გაცდეს დადგენილ ათთვიან ვადას. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული მეცადინეობა გაცდება, აუცილებელია მისი აღდგენა. ამისათვის სპეციალურად სარეზერვო დღეებიც არის გამოყოფილი. თუმცა, მათი შეფასებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დასრულების შემდეგ კანდიდატი მზად არის დაიკავოს მოსამართლის პოზიცია. სკოლის წარმომადგენლების თქმით, თუ მსმენელი თავს გაართმევს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში არსებულ რთულ სასწავლო რეჟიმს და შემდეგ სკოლის დამოუკიდებელი საბჭო იტყვის, რომ მან ადეკვატური და კარგი შეფასება დაიმსახურა, რა თქმა უნდა, სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, რომ კანდიდატი აღჭურვილია ყველა იმ შესაძლებლობით, რომ მოსამართლედ დანიშვნის შემთხვევაში, თავი გაართვას ამ საქმიანობას.

რაც შეეხება სტაჟირების ნაწილს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, ევროპის საბჭოს ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციით, აუცილებელია შედგეს მსმენელებისათვის ინდივიდუალური სტაჟირების პროგრამა და სკოლა აუცილებლად აპირებს ამ რეკომენდაციის იმპლემენტაციას.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, მოსაზრება დააფიქსირეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმაც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ აუცილებელია სწავლების ვადა გაიზარდოს. მათი აზრით, სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა არსებითად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სტაჟირების პროცესში. თუმცა, საბჭოს წევრებს მიაჩნიათ, რომ ათი თვის კვალობაზე, დღეს არსებული პროგრამა მაქსიმალურად კარგია.

საბჭოს წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ მოამზადა პროგრამა, რომელიც ჯერ არ არის დამტკიცებული. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მსმენელები სტაჟირებას ყველა სისტემაში გაივლიან, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოში, პროკურატურაში, ექსპერტიზის ბიუროსა და სასჯელალსრულების დაწესებულებებში. კერძოდ, სასჯელალსრულების დაწესებულებებში სტაჟირების კომპონენტისათვის პროგრამის ფარგლებში 1 კვირაა გათვალისწინებული. ამ ნაწილში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების თქმით, მხედველობაში იქნა მიღებული საერთაშორისო პრაქტიკა, კერძოდ, ფრანგული მოდელი, სადაც მსმენელები ორი კვირის განმავლობაში მუშაობენ ბადრაგებად. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ სტაჟირების ეს მოდელი, სავარაუდოდ, მომდევნო მსმენელებისათვის იქნება ხელმისაწვდომი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მსმენელთა სპეციალიზაციების მიხედვით დაყოფასთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მოსამართლეს ჰქონდეს ცოდნა სამართლის სხვადასხვა დარგში. მაგალითისათვის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალი მჭიდროდ ებმის ერთმანეთს, სისხლის სამართლის ნაწილი შესაძლოა რიგ შემთხვევაში გამოსაყენებლად საჭირო გახდეს სამოქალაქო დავების განხილვისას და ა.შ. შესაბამისად, ახალი პროგრამის მიხედვით, გათვალისწინებულია ერთი თვე მსმენელთა ცოდნის გასათანაბრებლად.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზეც, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა საბაზისო ცოდნაზე ვერ იქნება ორიენტირებული და სკოლის მთავარი მიზანი მომავალი მოსამართლეებისათვის სიღრმისეული ცოდნის მიცემაა. მათი აზრით, არსებობს პრეზუმცია, რომ მსმენელებს უკვე აქვთ საბაზისო ცოდნა და, შესაბამისად, შესაძლებელია სხვადასხვა საკითხის უფრო ღრმად განხილვა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიშის¹⁰³ თანახმად, ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ სტაჟირების სისტემის დახვეწის მიზნით შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები¹⁰⁴. რეკომენდაციები შეეხება სწავლების ხანგრძლივობის გაზრდას, თითოეული სამოსამართლო კანდიდატის სტაჟირების ჩარჩო პროგრამის შემუშავებას, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის მომზადებას, კანდიდატების შეფასების წესის ცვლილებას, მსმენელების მხრიდან საკუთარი პროგრესისა და მენტორი მოსამართლეების შეფასებას და სტაჟირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. გარდა ამისა, უცხოელი ექსპერტების ჩართულობით მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის დახვეწის კუთხით¹⁰⁵. თუმცა, ამ ეტაპზე პროგრამის დახვეწის პროცესი დასრულებული არ არის, რადგან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა საკანონმდებლო ცვლილებას მოითხოვს, რაც ამ დრომდე არ განხორციელებულა.

¹⁰³ სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 - ივნისი 2018, იუსტიციის უმაღლესი საბჭო (2018).

¹⁰⁴ <http://www.hsoj.ge/uploads/recommendations.pdf> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 2 დეკემბერს).

¹⁰⁵ სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), გვ. 34-35.

სხვა ქვეყნების გამოცდილება

შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ **პორტუგალიაში** სასწავლო კურსი გრძელდება 2 წელი¹⁰⁶, **საფრანგეთში** - 31 თვე¹⁰⁷.

ნიდერლანდების სამეფოში სასწავლო კურსი გრძელდება 6 წელი.¹⁰⁸ 38-თვიანი ტრენინგის გავლის შემდეგ კანდიდ ატები ირჩევენ, მოსამართლედ დანიშნა

სურთთუპროკურორად, რის შემდეგაც მათ უნდა გაიარონ 10-თვიანი ტრენინგები. კანდიდატები თავად ირჩევენ ტრენინგების ძირითადი მიმართულება სისხლის სამართალი იქნება, ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო, თუ კონცენტრირდება საჯარო პროკურატურის ოფისის საქმიანობაზე. ტრენინგის შემდეგ კანდიდატები ასევე გადიან 2-წლიან სტაჟირების პროგრამას სხვადასხვა ორგანოში.¹⁰⁹

პორტუგალიაში მოსამზადებელი ტრენინგი შეგდება ერთმანეთის მომდევნო თეორიული და პრაქტიკული კურსისგან და სტაჟირებისგან. სასწავლო კურსის პირველი ციკლი იწყება 15 სექტემბერს და სრულდება 15 ივლისს, მეორე ციკლი - პირველ სექტემბერს და სრულდება 15 ივლისს¹¹⁰. პირველი ციკლი მიმდინარეობს მოსამართლეთა სასწავლო ცენტრში (CEJ), ხოლო მეორე - წინასწარ შერჩეულ სასამართლოში¹¹¹. პირველი ციკლის დასასრულს, რომლის მიზანია დაეხმაროს კანდიდატს მოსამართლისთვის აუცილებელი თვისებების და უნარების განვითარებაში, მასწავლებელთა საბჭო წყვეტს პირის შესაფერისობას მოსამართლის თანამდებობასთან¹¹².

მეორე ციკლის განმავლობაში მსმენლები ისევ ფასდებიან კანონით წინასწარ დადგენილი წესებით, ხოლო ციკლის დასასრულს მასწავლებელთა საბჭო

106 ა. მილარტი, „მოსამართლეთა საწყისი დანიშვნა და გამოსაცდელი ვადის შემდგომი გადანიშვნა - კრიტერიუმი და პროცედურები“, ივლისი 2018, გვ. 11.

107 https://www.enm.justice.fr/sites/default/les/publications/plaquette2017_EN.pdf (ბოლოს ნანახია 3/12/2018).

108 Recruitment, Professional Evaluation and Career of Judges and Prosecutors in Europe: Austria, France, Germany, Italy, The Netherlands and Spain, ხელმისაწვდომია: <http://www.difederico-giustizia.it/wp-content/uploads/2010/09/recruitment-evaluation-and-career.pdf> (ბოლოს ნანახია 3/12/2018), გვ.167

109 იქვე, 168.

110 პორტუგალიის კანონი მოსამართლეთა კანდიდატების მიღების, ტრენინგის და მოსამართლეთა სასწავლო ცენტრის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ, N2/2008, მუხლი 35. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2rs1qaQ> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 2 დეკემბერს).

111 იქვე, 30-ე მუხლი.

112 იქვე, 46-ე მუხლი.

ხელმეორედ აფასებს მათ შესაბამისობას მოსამართლის პოზიციასთან. მასწავლებელთა საბჭო აქვეყნებს შედეგების სიას¹¹³. წარმატებული კანდიდატები ინიშნებიან მოსამართლის თანაშემწეებად მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ¹¹⁴. სტაჟირების ეს ფაზა გრძელდება 12 თვე უმაღლესი საბჭოსა და CEJ-ის მიერ მომზადებული ინდივიდუალური გეგმის მიხედვით¹¹⁵.

სტაჟიორები ზედამხედველების დახმარებით მუშაობენ, თუმცა მათ აქვთ საკუთარი ფუნქციები, მოვალეობები და უფლებები. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, ადმინისტრაციული და საგადასახადო სასამართლოები აგროვებენ ინფორმაციას სტაჟირების შესახებ, რომელსაც CEJ პერიოდულად აწვდის¹¹⁶. სტაჟირების დასასრულს, კანდიდატის დადებითი შეფასების შემთხვევაში ისინი მოსამართლეებად ინიშნებიან. თუკი არ არის ვაკანსია, მაშინ ინიშნებიან დამხმარეებად¹¹⁷.

რაც შეეხება სტიპენდიის ოდენობას, **პორტუგალიაში** მსმენელებისათვის სტიპენდიის სახით გათვალისწინებულია მოსამართლის ხელფასის 60%.¹¹⁸

დასკვნა და ხელოვნება

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა კვალიფიციური მსმენელების მოსამზადებლად საკმარისი არ არის, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. არსებული რეგულირების პირობებში, პრაქტიკულად ვერ ხდება მოსამართლის ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა მნიშვნელოვანი საკითხის სიღრმისეულად გაცნობა.

გარდა ამისა, როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა ცოდნისა და კვალიფიკაციის მსმენელების ყოფნა ერთ ჯგუფში, რაც ხელს უშლის საკითხების უფრო სიღრმისეულად განხილვას.

113 იქვე, 55-ე მუხლი.

114 იქვე, 68-ე მუხლი.

115 იქვე, 70-ე მუხლი.

116 იქვე, 71-ე მუხლი.

117 იქვე, 72-ე მუხლი.

118 CONSEIL CONSULTATIF DE JUGES EUROPEENS (CCJE) QUESTIONNAIRE RELATIF A LA FORMATION DES JUGES Réponse de la délégation du Portugal, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680747dbe> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 26 ნოემბერს).

ამ ხარვეზის გამოსწორება დაკავშირებულია მსმენელთა მიღების პროცესის არსებითად გაუმჯობესებასთან, რამაც უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური მსმენელების ჩარიცხვა ობიექტური და გამჭვირვალე პროცედურით.

აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული მდგომარეობით შესაძლოა, მსმენელმა სტაჟირების პერიოდში ვერ შეძლოს იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღება, რისთვისაც ზოგადად გამიზნულია სტაჟირება.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- მიზანშეწონილია, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება და სწავლების ხანგრძლივობა იმგვარად გაიზარდოს (მათ შორის, სტაჟირების ნაწილი), რომ მსმენელებმა შეძლონ ჯეროვანი ცოდნისა და უნარების მიღება, რაც აუცილებელია მოსამართლის ფუნქციების განსახორციელებლად.
- მნიშვნელოვანია გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, რათა უზრუნველყოს მსმენელის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.
- მიზანშეწონილია, გაინეროს სტაჟირების კოორდინატორების შერჩევის ობიექტური და გამჭვირვალე პროცედურა.
- მნიშვნელოვანია სტაჟირების ერთიანი პროგრამის შესაბამისად თითოეული მსმენელისთვის გაინეროს ინდივიდუალური სტაჟირების გეგმა, რომლის აღსრულება დაევალება სტაჟირების ხელმძღვანელს და ყოველდღიურ რეჟიმში მოხდეს გადამოწმება, რამდენად იცავს სტაჟირების კოორდინატორის სტაჟირების სახელმძღვანელო პრინციპებს. აუცილებელია სტაჟირების კოორდინატორებმა გაიარონ მენტორობის უნარებთან დაკავშირებული ტრენინგი, ასევე, უზრუნველყოფილი იყოს ყველა მსმენელის მიმართ თანასწორი მიდგომა.

საოცი მასწავლებელი და მოწვევი სპასიონისხევი

ჯანონმეებლობის მიმოხილვა

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა სწავლება წარმართება მასწავლებლების მიერ, რომლებიც ქმნიან მასწავლებელთა საბჭოს.¹¹⁹ მასწავლებელთა საბჭო სკოლის დირექტორს წარუდგენს სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს, ახორციელებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭოსა და დირექციის ცალკეულ გადანწყვეტილებებს, შეიმუშავებს სკოლის შინაგანანწესთან დაკავშირებულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს სასწავლო პროგრამის სრულყოფის მიზნით¹²⁰.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების თანახმად, მასწავლებელთა შერჩევას არაუმეტეს 2 წლის ვადით ახორციელებს დამოუკიდებელი საბჭო. სკოლის მასწავლებლის შერჩევა ხდება სამართლის სფეროს ან/და სასწავლო თემის/ თემების მიხედვით. მასწავლებლის შერჩევას ფასდება მისი პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილება. სკოლის მასწავლებლის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს დამოუკიდებელი საბჭოს წევრს. შესაბამისად, მასწავლებლების შერჩევის მიზნით ღია კონკურსი არ ცხადდება. სკოლის მასწავლებლის არჩევა ხდება კენჭისყრით, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ დამოუკიდებელი საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობისა. სკოლის მასწავლებელთა არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, თუ დამოუკიდებელი საბჭო არ მიიღებს გადანწყვეტილებას ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ.¹²¹ იუსტიციის მსმენელთა სწავლების მიზნით შესაძლებელია პერიოდულად სამართლის სხვადასხვა დარგის, ასევე დამხმარე დისციპლინების სპეციალისტების, მათ შორის, უცხოელი ექსპერტების მოწვევა.¹²² მათზე არ ვრცელდება მასწავლებელთა შერჩევის წესდებით განსაზღვრული წესი¹²³ და ისინი არ არიან მასწავლებელთა საბჭოს წევრები¹²⁴.

119 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 22-ე მუხლი.

120 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-12 მუხლი.


121 იქვე, მე-121 მუხლი.

122 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 22-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

123 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-121 მუხლის მე-6 პუნქტი.

124 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, მასწავლებელთა საბჭო შედგება სკოლის მასწავლებლებისგან.

დიაგრამაზე მოცემულია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მასწავლებლებისა და მონვეული სპეციალისტების რაოდენობა 2014-2018 წლებში:¹²⁵



როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ტრენინგების ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირებს შორის უფრო მეტი მასწავლებელია, ვიდრე მონვეული სპეციალისტი. მონვეულ სპეციალისტთა წილი საერთო რაოდენობასთან მიმართებით იყო 10% 2014 და 2016 წლებში, 24% 2015 წელს, ხოლო 35% 2017 წელს. რაც შეეხება 2018 წელს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესში მონვეული სპეციალისტები არ ყოფილან ჩართული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მონოდედებული ინფორმაციის თანახმად, 2014-2015 წლებში იუსტიციის მსმენელთა XI ჯგუფის სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონვეულ იქნა 4 უცხოელი ექსპერტი, 2015-2016 წლებში XII ჯგუფის სასწავლო პროგრამის ფარგლებში - 2 უცხოელი ექსპერტი, ხოლო 2016-2017 წლებში XIII ჯგუფის სასწავლო პროგრამის ფარგლებში - 2 უცხოელი ექსპერტი.¹²⁶

¹²⁵ იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2018 წლის 30 ივლისის N02/2080 წერილი.

¹²⁶ შენიშვნა: 2016 წლის 3 ნოემბრამდე იყო 22 მასწავლებელი, ხოლო 2016 წლის 3 ნოემბრიდან - 26.

¹²⁶ უცხოელი ექსპერტების მონვევა ხორციელდებოდა სკოლის უცხოური პარტნიორი/

ახლებული სამართლებრივი ჩარჩოს ხაზვები

არსებული სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა შერჩევის ობიექტური კრიტერიუმები და შერჩევის პროცედურა სათანადოდ რეგულირებული არ არის.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგს ატარებდნენ მოსამართლეები და კონკრეტული დარგის სპეციალისტები. ტრენინგების შერჩევა უნდა მოხდეს თავიანთ პროფესიაში საუკეთესო ექსპერტებს შორის და შერჩევას უნდა ახორციელებდეს ტრენინგებზე პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც მხედველობაში მიიღებს ტრენინგების ცოდნას სასწავლო თემებზე და მათ პედაგოგიურ უნარებს.¹²⁷

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, მასწავლებელთა შერჩევის პროცესში მეტი გამჭვირვალობა მისასალმებელია. მან აღნიშნა, რომ მისთვის ცხადია, რატომ შეარჩიეს მასწავლებლად, რადგან მას პირადად იცნობდნენ, თუმცა, ოფიციალური პასუხი მისთვის არ არის ცნობილი, არც გასაუბრება ჩატარებია. მან აღნიშნა, რომ მოსამართლეები ძალიან კარგად იცნობენ ერთმანეთს და ფიქრობს, რომ საბუთების და პირადი შთაბეჭდილებების საფუძველზე ხდება ტრენინგების შერჩევა.

სხვა რესპონდენტის თქმით, სახეზეა ტენდენცია, როცა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ცდილობენ, რომ მათგან განსხვავებული მოსაზრებების ადამიანებს მოსამართლეობის კანდიდატებთან შეხება არ ჰქონდეთ. იგი ასევე აღნიშნავს, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში არსებული სივრცე არის ძალიან ჩაკეტილი და ფაქტობრივად კონტროლდება, რომ იქ არ მოხდეს განსხვავებული აზრის მიწოდება.

გარდა ამისა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ლექტორი, რომელიც წინა ჯგუფებს არ მოსწონდათ და შესაბამის შეფასების ფორმებშიც ასახავდნენ დამოკიდებულებას, მაინც აგრძელებდა ტრენინგების ჩატარებას.

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებს, მათ მასწავლებელთა საბჭოს წევრებსა და მონვეულ ტრენინგებთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ ისინი ამ საკითხს და ზოგადად, სწავლების პროცესს სისტემურად აფასებენ. მათი თქმით, მსმენელები აფასებენ სწავლების ყველა

დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2018 წლის 30 ივლისის N02/2080 წერილი.

127 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №4 (2003), §20.

ეტაჰს, ფასდებიან მასწავლებლებიც. იუსტიციის უმაღლეს სკოლას აქვს რეიტინგული მონაცემები, რაც სკოლის შიდა ინფორმაციას განეკუთვნება. მაგალითისათვის, როცა სკოლას ერთსა და იმავე ტრენერთან მიმართებით ერთი და იგივე ინფორმაცია აქვს კონკრეტული პრობლემის არსებობის თაობაზე, აუცილებლად ხდება ამისი გათვალისწინება.

ზემოთქმულის გარდა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სკოლა აქტიურად მსჯელობს მსმენელების უკუკავშირზე მასწავლებელთა საბჭოს წევრებსა და მონვეულ ტრენერთან დაკავშირებით. მაგალითისათვის, მსმენელებს ჰქონდათ რეკომენდაცია, რომ სასურველი იქნებოდა სემინარები უფრო მეტად პრაქტიკული ყოფილიყო. ამ რეკომენდაციების გაანალიზების შემდეგ სკოლის წარმომადგენლები გაესაუბრნენ მასწავლებლებს, ჰკითხეს, რითი იყო აღნიშნული განპირობებული, დროის სიმცირით თუ სხვა ფაქტორით. სკოლის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ პრობლემები დროსთან ერთად აღმოიფხვრება ხოლმე სწორედ ამგვარი კომუნიკაციის და გაანალიზების საფუძველზე.

დასკვნა და რეკომენდაციები

მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს მასწავლებელთა საბჭოს დაკომპლექტების ობიექტურ და გამჭვირვალე პროცესს. გაუმჯობესალე პროცესის შედეგად სკოლის მასწავლებელთა მიღება ვერ უზრუნველყოფს ფავორიტიზმის თავიდან აცილებას და მსმენელთა სწავლებას მაქსიმალურად კომპეტენტური მასწავლებლების მიერ.

- იმის გათვალისწინებით, რომ მასწავლებლების როლი მსმენელთა მომზადებისა და მოსამართლეთა გადამზადების პროცესში განუზომლად დიდია, მათი შერჩევა განჭვრეტადი და ცხადი კრიტერიუმების საფუძველზე ღია კონკურსის საშუალებით უნდა განხორციელდეს, ხოლო შერჩევის პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს.
- მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელთა და მონვეულ სპეციალისტთა შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურა ნათლად დარეგულირდეს. შერჩევისას კვალიფიკაციასა და გამოცდილებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებლის კომუნიკაციისა და პედაგოგიურ უნარებს.

ეპაოთაჰიბელი ბაოოსა

ჰანონმეებლობის მიმოხილვა

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო ეტაპის დასრულების შემდგომ იმართება დამამთავრებელი წერილობითი გამოცდა, რომელსაც ატარებს საგამოცდო კომისია. ის შედგება 7 წევრისგან. კომისიის წევრები არიან: უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დანიშნული სამი წევრი (სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტები) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი¹²⁸.

დამამთავრებელი გამოცდა 100 ქულიანია, გამსვლელ ქულად მიიჩნევა - 85. თუ მსმენელმა მოაგროვა 85 ქულაზე ნაკლები ქულა, მაგრამ არანაკლებ 70 ქულისა, მას უფლება აქვს, სკოლის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან, ხოლო თუ წარდგენილი აქვს პრეტენზია, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს დამოუკიდებელ საბჭოს მორიგ/დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე დაშვების თაობაზე. მსმენლის მორიგ/დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო.¹²⁹

თეორიული კურსისა და დამამთავრებელი გამოცდების შედეგების გადასინჯვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომლის შემადგენლობასაც დამოუკიდებელი საბჭო განსაზღვრავს და ანონიმურია. მსმენლის პრეტენზია დასაშვებია მხოლოდ გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან ორი დღის განმავლობაში¹³⁰.

დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან 1 თვის ვადაში სკოლის დირექტორი დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას, რომლის შედგენის კრიტერიუმებიც განწერილია კანონით¹³¹. კერძოდ, საკვალიფიკაციო სიის შედგენის დროს კოეფიციენტით ჯამდება იუსტიციის მსმენლის: მოსამართლეობის

128 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 28-ე მუხლი.

129 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-19 მუხლი.

130 იქვე, მე-20 მუხლი.

131 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 30-ე მუხლი.

საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტი 1, სკოლაში თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტი 2, სტაჟირების გავლისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტი 3 და სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტი 4¹³². შედეგად, მსმენელს ენიჭება რიგითი ნომერი, რომელიც მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისას გაითვალისწინება. საკვალიფიკაციო სიის წევრ მსმენელზე გაიცემა სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი¹³³.

ახსებული სამაჩთლები ჩახჩოს ხაზვებუბი

სკოლის დამამთავრებელი გამოცდის კომისიის 3 წევრს ნიშნავს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო. შესაძლო 3 წევრის შესახებ სკოლის წესდებით მხოლოდ ის არის განწერილი, რომ დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დანიშნული კომისიის სამი წევრი შედგება სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტებისგან¹³⁴. არ არის დაკონკრეტებული ის მინიმალური კომპეტენცია თუ კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დამამთავრებელი გამოცდის კომისიის წევრი.

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, პრობლემა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ სკოლის დამამთავრებელ კომისიაში სამი წევრის დანიშვნის წესი, რადგან მისი აზრით, აუცილებელია გამომცდელები იყვნენ დამოუკიდებლები და დამამთავრებელ ქულას ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მისი პოზიციით, აუცილებელია გამომცდელების შერჩევის კრიტერიუმები ცხადად განწერილი და გამჭვირვალე იყოს.

სკოლის დამამთავრებელი გამოცდის კომისიაში სამი წევრის სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დანიშვნასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ ამ მიმართულებით არ უმუშავიათ. მათივე თქმით, პრაქტიკიდან გამომდინარე, დამამთავრებელი გამოცდის კომისიაში წევრთა დანიშვნის დამატებითი კრიტერიუმების დადგენაზე საუბარი არ ყოფილა, რადგან მათი შერჩევისას აქცენტი კეთდება სამართლის ყველა დარგის წარმომადგენლის უზრუნველყოფასა და პირთა პროფესიონალური კუთხით შერჩევაზე.

¹³² საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, 21-ე მუხლი.

¹³³ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 311-ე მუხლი.

¹³⁴ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-19 მუხლი.

მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო შეზღუდულად ითვალისწინებს დამამთავრებელ გამოცდაზე მიღებული უარყოფითი შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობას. ეს საკითხი ასევე პრობლემურია თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდასთან მიმართებით. სკოლის წესდებით განსაზღვრულია საპრეტენზიო კომისიის შექმნა, თუმცა შედეგების გადასინჯვა დაშვებულია მხოლოდ გარკვეული ქულის დაგროვების შემთხვევაში.¹³⁵ ამასთან, საპრეტენზიო კომისიის შეფასება საბოლოოა. ეფექტური გასაჩივრების მექანიზმის არარსებობის პირობებში, არსებობს რისკი იმისა, რომ მსმენელმა დაუსაბუთებლად მიიღოს უარყოფითი შეფასება და შესაბამისად, წაერთვას სასამართლო სისტემაში მოხვედრის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან დამამთავრებელი გამოცდის შედეგების გადასინჯვის თაობაზე საპრეტენზიო კომისიისათვის მიმართვას ადგილი არ ჰქონია.¹³⁶

დასკვნა და რეკომენდაცია

არსებული სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არ არის რეგულირებული დამამთავრებელი გამოცდის კომისიის წევრისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მისი შერჩევის კრიტერიუმები, რაც დამოუკიდებელ საბჭოს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს 3 წევრი. ასევე პრობლემურია იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდებისა და ასევე თეორიული კურსის უარყოფითი შეფასების გასაჩივრების შეზღუდული შესაძლებლობის არსებობა.

- მნიშვნელოვანია, რომ ცხადად გაიწეროს ის მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დანიშნული სამი წევრი დამამთავრებელი გამოცდის კომისიაში.
- აუცილებელია შეიქმნას თეორიული კურსისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდების უარყოფითი შეფასების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.

¹³⁵ ტესტური გამოცდის შედეგების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა, 45 ქულა. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების გადასინჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა, 80 ქულა. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მე-20 მუხლი.

¹³⁶ იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2019 წლის 15 მარტის წერილი #02/2277.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხოლი მოსამართლეთა დანიშვნის ჰიმნუსში

ქანონმდებლობა მიმოხილვა

საქართველოში მოსამართლეებს ნიშნავს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კონსტიტუციური ორგანო - იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ორგანული კანონის თანახმად, იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში შეყვანილი პირის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.¹³⁷

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს იმ ინფორმაციას, რასაც დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება უნდა მოიცავდეს. გარდა ამისა, კანონის თანახმად, დამოუკიდებელი საბჭო შეფასებას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.¹³⁸

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მონოდებული საჯარო ინფორმაციის¹³⁹ თანახმად, სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ მსმენელების საბოლოო შეფასებისას გამოიყენება სპეციალური ფორმა. იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ მოცემული ფორმა გამოყენებულ იქნა მხოლოდ ბოლო (XIII) ჯგუფთან მიმართებით, ხოლო წინა ჯგუფები სხვა ფორმებით ფასდებოდნენ. მათი თქმით, ცვლილება განაპირობა „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებმა, რომლის თანახმადაც, მსმენელების შეფასება უნდა მომხდარიყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით. შესაბამისად, ეს ცვლილებები აისახა ფორმაშიც. თუმცა, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, შესაბამისი ფორმის დამტკიცება, რომლითაც მსმენელები ფასდებოდნენ მანამდეც ხდებოდა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების ფორმაში აღინიშნება შემდეგი ქულობრივი შეფასებები: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულა, თეორიულ გამოცდაში მიღებული ქულა, სტაჟირების გავლისას მიღებული ქულა, დამამთარებელი გამოცდის ქულა. ასევე აღინიშნება მსმენელის რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში. რაც

¹³⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 35-ე მუხლის მე-13 პუნქტი.

¹³⁸ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 31-ე მუხლი.

¹³⁹ იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2018 წლის 21 აგვისტოს N02/2088 წერილი.

შეეხება დისციპლინის შეფასებას, ამ ნაწილში ფასდება დასწრების მაჩვენებელი, საპატიო და არასაპატიო მიზეზით გაცდენილი ღღეების რაოდენობა, უცხო ენის კურსის გაცდენის მაჩვენებელი. დამატებით ეს კომპონენტი ასევე ითვალისწინებს საზღვარგარეთ სასწავლო ვიზიტებსა და ქვეყნის შიგნით გასვლით სასწავლო აქტივობებს.¹⁴⁰

შეფასების ფორმის თანახმად, ასევე გამოყოფილია შესრულებული სამუშაოების კომპონენტი, რომელიც მოიაზრებს სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპზე შესრულებული სამუშაოების სახეობებს. გარდა ამისა, შეფასების ფორმა ასევე ითვალისწინებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, რომელიც გულისხმობს პიროვნული და პროფესიული კეთილსინდისიერების, კანდიდატის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის, პროფესიული ქცევისა და სხვა პიროვნული თვისებების შეფასებას.¹⁴¹

პიროვნული და პროფესიული კეთილსინდისიერების მახასიათებელში იგულისხმება, აქვს თუ არა შესაფასებელ მსმენელს პასუხისმგებლობა, არის თუ არა მონდომებული, აქვს თუ არა შეცდომის აღიარების უნარი და სხვა. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის კომპონენტი მოიცავს შესაფასებელი მსმენელის დამოუკიდებლობას, საქმის გარემოებების კრიტიკულად და ობიექტურად შეფასების უნარს, ასევე იმას, თუ რამდენად არის პირი წინასწარი შეხედულებებისაგან თავისუფალი და ხომ არ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ და სხვა.¹⁴²

შეფასების ფორმა ასევე ითვალისწინებს კომპეტენტურობის კრიტერიუმებს: პროფესიული კომპეტენცია და სამართლებრივი დასაბუთების უნარი; მენეჯერული და სხვა პროფესიული უნარები; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი.¹⁴³

ახლებული სამართლებრივი ჩახჩოს სახეობები

მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი განუზომლად დიდია. სკოლას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აკისრია და დამოუკიდებელ, გადამწყვეტ როლს ვერ ასრულებს პირის სამოსამართლო კარიერის განმავლობაში¹⁴⁴. საბჭოს ფართო დისკრეციის

¹⁴⁰ იქვე.

¹⁴¹ იქვე.

¹⁴² იქვე.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, „სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები“, 2017, გვ. 44. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UjKVL0> (ბოლოს ნანახია 3/12/2018).

დაბალანსება და ამ პროცესში სკოლის ჩართულობა საბჭოს დაეხმარება მეტად ინფორმირებული და დასაბუთებული იყოს მისი გადანყვეტილება დანიშვნის შესახებ, რადგან სწორედ სკოლა არის ის ორგანო, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას აკვირდება მსმენელს და აქვს ინფორმაცია მისი შესაძლებლობების შესახებ.

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბუნდოვანია თავად დამოუკიდებელი საბჭო რაზე დაყრდნობით და როგორ ახორციელებს მსმენელის შეფასებას ისეთი კომპონენტების მიხედვით, როგორიც არის პიროვნული და პროფესიული კეთილსინდისიერება; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. ამგვარი შეფასება არ უნდა წარმოადგენდეს სასწავლო დანესებულების ფუნქციას.

მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში სკოლის ჩართულობასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, მართალია, იუსტიციის უმაღლესი სკოლა უშუალოდ მოსამართლეების დანიშვნის დროს კენჭისყრის ნაწილში ჩართული არ უნდა იყოს, თუმცა, მისი აზრით, უფრო მეტად უნდა იყოს წარმოჩენილი სკოლის როლი ამ ნაწილში. მაგალითისათვის, მას მიაჩნია, რომ საჭიროა იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს კანდიდატის უფრო დეტალური დახასიათება, არ უნდა იყოს მითითებული მხოლოდ ფორმალური სტატისტიკა, რამდენჯერ დაავიანა კანდიდატმა და ა.შ. ასევე კარგი იქნება, თუ სკოლას თითოეულ კანდიდატთან მიმართებით დაუსვამენ შეკითხვებს.

სხვა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა დანიშვნის ნაწილში იუსტიციის უმაღლესი სკოლის როლი უნდა გაიზარდოს: „დღეს კანონში წერია, რომ საბჭოს შეუძლია იხელმძღვანელოს სკოლის რეკომენდაციით, თუმცა, მას ამისი ვალდებულება არ გააჩნია. საბჭო არ ასაბუთებს, რა შემთხვევაში ხელმძღვანელობს სკოლის მიერ გაცემული რეკომენდაციებით.“ შესაბამისად, რესპონდენტის აზრით, „უფრო მეტად უნდა გამკაცრდეს კანდიდატთა შესარჩევი პროცესი, რადგან ალოგიკურია, რომ თავდაპირველად საბჭო არჩევს კანდიდატს, მოსწონს იგი, მასში პოტენციალს ხედავს, მითუმეტეს, როცა ამ კანდიდატს შესაძლოა იუსტიციის უმაღლესი სკოლისაგან მაღალი შეფასებები ჰქონდეს, თუმცა, მაინც არ დაინიშნოს, რაც ბადებს კითხვებს.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, რესპონდენტის მითითებით, მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ჰქონდეს ვალდებულება, დაასაბუთოს თუ რატომ არ იღებს მხედველობაში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ გაცემულ დადებით რეკომენდაციებს.

აღნიშნული რესპონდენტი ასევე ამბობს, რომ შედეგების გათვალისწინებით, მოსამართლედ არ ინიშნებიან ის მსმენელები, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ დადებითად არიან შეფასებული. მათ შორის, მისი ინფორმაციით, მოსამართლედ არ დაინიშნენ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქულის მქონე

კანდიდატებიც. რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ წარსულში არსებობდა პრაქტიკა, როცა პირს არ ნიშნავდნენ მოსამართლედ, თუმცა, უზენაეს სასამართლოში ასაქმებდნენ რეფერენტებად, კონსულტანტებად და სხვ. ამ გარემოში რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ კი მოსამართლეებად ნიშნავდნენ. მისი აზრით, აღნიშნულ წესს იმ პირების მიმართ იყენებდნენ, ვის მიმართაც, სავარაუდოდ, ჰქონდათ კითხვები მათ ერთგულებასა და მორჩილებასთან მიმართებით და უზენაესი სასამართლო იყო ის ადგილი, სადაც აღნიშნულის „გამოსწორება“ ხდებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს არის მისი, როგორც დამკვირვებლის შეფასება ამ პროცესების მიმართ.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა შეკითხვაზე, მიაჩნიათ თუ არა, რომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში იუსტიციის უმაღლესი სკოლა უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული, პასუხისაგან თავი შეიკავებს. რაც შეეხება საკითხს, რამდენად წონადი უნდა იყოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოსამართლეობის კანდიდატებთან დაკავშირებით გაცემული დადებითი რეკომენდაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის, სკოლის წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ მუშაობენ ძალიან ბევრ ევროპულ მოდელზე და ინფორმაცია აქვთ ისეთი ქვეყნების შესახებ, სადაც სამოსამართლო კანდიდატი სკოლაში სწავლის პოზიტიური შეფასებით დასრულების შემთხვევაში, ავტომატურად ინიშნება მოსამართლედ. თუმცა, მათივე თქმით, ეს საკითხი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ დამოუკიდებლად ვერ გახდება განხილვის საგანი. გარდა ამისა, აღნიშნულზე მსჯელობა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ დაინიშნება სისტემური ცვლილებები. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება მათი მხრიდან არასწორი იქნება.

სკოლის წარმომადგენლებმა ასევე მიუთითეს, რომ მათ არ აქვთ განცდა, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარდგენილი რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. მათ არ ახსოვთ შემთხვევა, როცა მოსამართლეობის კანდიდატი, სკოლის მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაციის მიუხედავად, მოსამართლედ არ დაინიშნა. პირიქით, საკმაოდ პოზიტიური ტენდენციაა და სკოლა დამთავრებულები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში არ ხდებიან მოსამართლეები. ასევე არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული პირები პირველივე წელს არ ინიშნებიან მოსამართლეებად, თუმცა, განმეორებით შეაქვთ განაცხადი და შემდეგ ხდება მათი დანიშვნა.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან მოთხოვნილი იქნა საჯარო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენმა მსმენელმა დაასრულა სკოლა 2014-2017 წლებში და მათგან რამდენი დაინიშნა მოსამართლედ. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ წარმოადგინა ინფორმაცია¹⁴⁵ იმ მსმენელთა რაოდენობის შესახებ, რომლებმაც ამ პერიოდში დაასრულეს

¹⁴⁵ იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2018 წლის 6 ივნისის N18/2-009 წერილი.

სკოლა და შეყვანილ იქნენ საკვალიფიკაციო სიაში, თუმცა სკოლას არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია, ამათგან რამდენი მსმენელი დაინიშნა მოსამართლედ. აღნიშნული ცხადად აჩვენებს, რომ სკოლასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის არ ხდება ეფექტური კომინიკაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მოსაზრებებს, მსმენელთა მოსამართლედ დანიშვნასთან მიმართებით საბჭოს წევრებმა განსხვავებული პოზიცია დააფიქსირეს. ერთ-ერთი წევრის აზრით, უკეთესი იქნება, თუ მსმენელები იუსტიციის უმაღლესი სკოლის დასრულების შემდეგ ავტომატურად დაინიშნებიან მოსამართლეებად, თუ არ არსებობს მათთვის მოსამართლედ დანიშვნაზე უარის თქმის საფუძვლები. თუმცა, აღნიშნული წევრის თქმით, პრაქტიკაში მსმენელთა უმეტესობა ისედაც ინიშნება მოსამართლედ. მან ასევე აღნიშნა, რომ „ზოგიერთი შემთხვევა იყო, როცა მსმენელი მაშინვე არ დაინიშნა, მაგრამ დაინიშნა კონკურსში რამდენჯერმე მონაწილეობის შემდეგ. პროცენტულად ძალიან ცოტაა, ვინც არ დაინიშნა.“ ამავე წევრის თქმით, ყოფილა შემთხვევა, როცა მსმენელმა დაასრულა სწავლა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, მაგრამ უარყოფითი დახასიათება ჰქონდა, რაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა.

განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრმა, რომლის აზრით, არ არის აუცილებელი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დასრულების შემდეგ მსმენელები მოსამართლედ ავტომატურად ინიშნებოდნენ. საუბრისას მან ხაზი გაუსვა ზოგადად მოსამართლის პროფესიის მნიშვნელობას და ამ საქმიანობისათვის აუცილებელ მოტივაციას. შესაბამისად, მას მიაჩნია, რომ გარანტიის არარსებობა, რომ მსმენელი ავტომატურად დაინიშნება მოსამართლედ, დაინტერესებულ პირებს კონკურსში მონაწილეობისაგან არ უნდა აბრკოლებდეს.


გარდა ამისა, ამავე წევრმა აღნიშნა, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელის ჩარიცხვისას იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მწირი ინფორმაცია აქვს მსმენელის შესახებ, სკოლაში სწავლისას კი მსმენელები ბევრ სხვადასხვა თვისებას ავლენენ, მათ შორის ისეთ დეტალებსაც, რაც გასაუბრებისა და სკოლაში ჩარიცხვის ეტაპზე შესაძლოა შეუმჩნეველი იყოს. შესაბამისად, მისი

აზრით, საბჭოს მიერ სკოლადამთავრებულის მოსამართლედ დანიშვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არსებითად მნიშვნელოვანია.

ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების თქმით, სასურველია დამოუკიდებელი საბჭოს მიერ მომზადებული მსმენელის შეფასება უფრო დეტალური იყოს. მათ ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დანიშვნის პროცესში ხმის მიცემა თვარულია. შესაბამისად, არ ხდება ინდივიდუალური დასაბუთება, რატომ მიიღო ან არ მიიღო საბჭომ მხედველობაში დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება. მათი მითითებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი დაეკარგებოდა

ფარულობას, რადგან თუკი მოსამართლეობის კანდიდატი გაასაჩივრებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას, მისთვის ცნობილი გახდებოდა ინდივიდუალურად საბჭოს წევრების პოზიციაც.

საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები დანიშნულ მოსამართლეებთან დაკავშირებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2013 წლის ივნისიდან 2018 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი 9-ჯერ ჩატარდა, რომლის შედეგადაც მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდა ჯამში 243 მოსამართლე, მათ შორის 83 მოქმედი მოსამართლე, 88 ყოფილი მოსამართლე, 2 რეზერვის მოსამართლე, 5 უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეები და 65 იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.¹⁴⁶



აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან იკვეთება, რომ 2013 წლის ივნისიდან 2018 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით კონკურსის საფუძველზე თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლეებიდან დაახლოებით 26,7% იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მითითებით, მნიშვნელოვანია მოხდეს

¹⁴⁶ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს N1815/2494-03 წერილი.

არა იმისი შეფასება, დანიშნული მოსამართლეების რაოდენობიდან რა პროცენტული წილი მოდიოდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებზე, არამედ რამდენი სკოლადამთავრებული დაინიშნა მოსამართლედ.

მოცემულ საკითხზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით,¹⁴⁷ 2013 წლიდან მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ 9 კონკურსში მონაწილეობა მიიღო 153-მა¹⁴⁸ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელმა და მათგან მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდა 65. აღნიშნული მონაცემები აჩვენებს, რომ კონკურსში მონაწილე მსმენელები პირველივე ცდაზე არ ინიშნებიან მოსამართლედ და ერთსა და იმავე მსმენელს, შესაძლოა, ერთზე მეტჯერ ჰქონდეს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიღებული.

ის ფაქტი, რომ სკოლას არ აქვს აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ, სავარაუდოდ, მის მიერ არ ხდება მსმენელთა მოსამართლედ დანიშვნის პროცესში არსებული ტენდენციების ანალიზი.

სხვა ქვეყნების გამოცდილება

ბელგიაში მოსამართლედ გამწესების რამდენიმე გზა არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან კანდიდატის გამოცდილების მიხედვით განსხვავდება.¹⁴⁹ მოსამართლეთა ყველა ვაკანტური პოზიციის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ოფიციალურ გაზეთში, რის შემდეგაც კანდიდატებს ერთი თვე აქვთ, რომ განაცხადი გააკეთონ. კერძოდ, მათ წერილით უნდა მიმართონ იუსტიციის სამინისტროს.

ბელგიის კონსტიტუციის 151-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოსამართლეებს უმაღლესი საბჭოსა და დანიშვნების კომიტეტის მიერ დასაბუთებული წარდგენის საფუძველზე ნიშნავს მეფე. წარდგენა ხდება ხმათა 2/3-ის უმრავლესობით კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასების შემდეგ.¹⁵⁰

პორტუგალიაში მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო პასუხისმგებელია მოსამართლეთა დანიშვნაზე, გადაყვანასა და დანიშნულებაზე,¹⁵¹ ხოლო

147 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 18 იანვრის N59/49-03-ო წერილი.

148 მოცემულ ჯამურ რაოდენობაში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი შეიძლება მეორედებოდეს.

149 <https://rm.coe.int/16806c2c40>, გვ. 32 (ბოლოს ნანახია 2018 წლის 2 დეკემბერს).

150 ბელგიის კონსტიტუციის 151-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://www.dekamer.be/kvvcr/pdf_sections/publications/publications/constitution/GrondwetUK.pdf (ბოლოს ნანახია 3/12/2018).

151 პორტუგალიის კონსტიტუციის 217-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://www.legislationline.org/documents/action/popup/id/20653> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 3 დეკემბერს).

ადმინისტრაციული და საგადასახადო სასამართლოების მოსამართლეების შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულება რელევანტურ უმაღლეს საბჭოს აქვს¹⁵² (ადმინისტრაციულ და საგადასახადო სასამართლოთა უმაღლეს საბჭოს). თუმცა, შესაბამისი საბჭოსთვის ირიბად მაინც მბოჭავია სკოლის შეფასებები, რადგან მსმენლის მიერ სკოლის უკანასკნელი ეტაპის, სტაჟირების დასრულების შემდგომ, დადებითი შეფასების არსებობისას მოსამართლეები ავტომატურად ინიშნებიან საბჭოს წარდგინებებით¹⁵³.

დანის სამეფოში მოსამართლეთა დანიშვნის პროცესზე პასუხისმგებელია იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საბჭოს რეკომენდაციებს. საბჭო შედგება უზენაესი სასამართლოს მოსამართლისაგან, რაიონული სასამართლოს მოსამართლისგან, პრაქტიკოსი იურისტისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ორი წარმომადგენლისაგან.¹⁵⁴

პოლონეთის რესპუბლიკაში უზენაესი, საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოების მოსამართლეები პრეზიდენტის მიერ იუსტიციის ეროვნული საბჭოს წარდგინების საფუძველზე ინიშნებიან. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ 2011 წლის 12 მაისს მიღებული აქტით განსაზღვრულია, რომ საბჭოს ფუნქციაა მოსამართლეობის კანდიდატების განხილვა და შეფასება.¹⁵⁵

საფრანგეთში მოსამართლეთა დანიშვნის ორი გზა არსებობს: ერთი მოიაზრებს ეროვნული სამოსამართლო სკოლის კურსდამთავრებულების დანიშვნას, ხოლო მეორე გულისხმობს სკოლის სასწავლო კურსის გაკლის გარეშე იმ კანდიდატების მოსამართლედ დანიშვნას, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.¹⁵⁶

ეროვნულ სამოსამართლო სკოლაში ტრენინგების დასრულების შემდეგ მსმენელები აბარებენ საბოლოო გამოცდას. საგამოცდო საბჭო სკოლისგან დამოუკიდებელია. გამოცდების შედეგების მიხედვით ხდება კურსდამთავრებულთა რანჟირება და მათ შეუძლიათ აირჩიონ იუსტიციის მინისტრის მიერ შემოთავაზებული სიიდან შესაბამისი თანამდებობა, საკვალიფიკაციო სიაში მათი რიგითი ნომრის მიხედვით. კურსდამთავრებულის

152 იქვე, 217-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

153 პორტუგალიის კანონი მოსამართლეთა კანდიდატების მიღების, ტრენინგის და მოსამართლეთა სასწავლო ცენტრის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ, N2/2008, 72-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2rs1qaQ> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 2 დეკემბერს).

154 Experience of initial training of candidates for a post of judge and newly appointed judges in the member States of European Union, ხელმისაწვდომია - <https://bit.ly/2zLYIXo> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 3 დეკემბერს).

155 Act of 12 May 2011 (Journal of Laws of 2016.976 of 5th July 2016), ხელმისაწვდომია: <https://www.legislationline.org/documents/id/20326> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 3 დეკემბერს).

156 Recruitment, Professional Evaluation and Career of Judges and Prosecutors in Europe: Austria, France, Germany, Italy, The Netherlands and Spain, გვ. 45. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2rrPiXo> (ბოლოს ნანახია 1/12/2018).

მოსამართლედ დანიშვნა ოფიციალურად ფორმდება პრეზიდენტის დადგენილებით მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს თანხმობით¹⁵⁷.

ავსტრიაში ტრენინგების შემდეგ კანდიდატები აბარებენ წერით და გეპირ გამოცდას. გამოცდის შედეგებს აფასებს ხუთწევრიანი გამომცდელთა საბჭო. საბჭოში მინიმუმ ორი წევრი მოსამართლეა, ხოლო ერთი - პრაქტიკოსი იურისტი. კანდიდატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის სამინისტრო, თუმცა, ითვალისწინებს მოსამართლეების რეკომენდაციებს¹⁵⁸.

დასკვნა და ხეჯომენდაციები

დღეს მოქმედი სამართლებრივი რეგულირების პირობებში, პრობლემურია ის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის ვალდებული მხედველობაში მიიღოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის პროცესში.

- მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სამართლიანი და ობიექტური პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, გაიზარდოს სკოლის როლი მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში, კერძოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ორგანული კანონით დაევალოს სამოსამართლო კანდიდატებზე ინფორმაციის შეგროვების ეტაპზე, აუცილებლად მოუსმინოს სკოლის უფლებამოსილ პირს.
- სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება უნდა შემოიფარგლოს იმ ინფორმაციით, რაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მისცემს შესაძლებლობას კანდიდატი შეაფასოს კომპეტენტურობის კრიტერიუმით.
- გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლესი საბჭო იყოს ვალდებული დეტალურად დაასაბუთოს, რატომ ითვალისწინებს ან არ ითვალისწინებს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ გაცემულ შეფასებასა და რეკომენდაციებს ორგანული კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას.

157 National School for the Judiciary, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zKRHRy> (ბოლოს ნანახია 26/11/2018).

158 Experience of initial training of candidates for a post of judge and newly appointed judges in the member States of European Union, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zLYIXo> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 3 დეკემბერს).

მოსამართლე ბაზაზე

ჯანმრთელობის მიმოხილვა

გადამზადების მიზანია გადამზადებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა კვალიფიკაციის ამაღლება საკანონმდებლო და სხვა სახის სამართლებრივი და სამეცნიერო სიახლეების გაცნობის, ახალ სოციალურ და სამართლებრივ რეალობებთან ადაპტაციის, პრაქტიკული გამოცდილების, მათ შორის, უცხო ქვეყნებში არსებული სამოსამართლეო საქმიანობის პრაქტიკის განზოგადებისა და გაზიარების გზით.¹⁵⁹

გადამზადების პროგრამები ყოველწლიურად მუშავდება და ხორციელდება სკოლის მიერ.¹⁶⁰ გადამზადების ყოველწლიური პროგრამის გამოქვეყნების შემდგომ, გადამზადების მსურველს შეუძლია მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას განცხადებით, რომელშიც უნდა მიუთითოს ღონისძიებაში მონაწილეობის მოტივაცია, რაზეც სკოლამ უნდა უპასუხოს ღონისძიების დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.¹⁶¹

კანონის თანახმად, გადამზადება ხორციელდება სხვადასხვა სახის სემინარის, სასწავლო კურსისა და კონფერენციის, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების, აგრეთვე დისკუსიის მონყოფის გზით. ჩასატარებელ ღონისძიებათა პროგრამას ადგენს სკოლის დირექტორის მოადგილე მასწავლებელთა საბჭოსთან შეთანხმებით და წარუდგენს სკოლის დირექტორს. ეს უკანასკნელი განიხილავს მას და დასამტკიცებლად წარუდგენს დამოუკიდებელ საბჭოს ყოველი წლის ოქტომბერში. გადამზადების პროგრამის შედგენისას სკოლა რეკომენდაციისათვის მიმართავს პირველი ინსტანციის, სააპელაციო ინსტანციის და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეებს.¹⁶²

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მონაწილეობის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2013-2018 წლებში გადამზადების პროგრამებში მონაწილეობა 4,736-მა მოსამართლემ მიიღო.¹⁶³ იუსტიციის უმაღლესი სკოლის განმარტებით, აღნიშნული ჯამური რაოდენობა წარმოადგენს სტატისტიკურად დამუშავებულ რიცხვს, ჯამურ რაოდენობაში ერთი და იგივე მოსამართლე შესაძლოა რამდენჯერმე მეორედებოდეს, რადგან წლის განმავლობაში ესწრებოდა

159 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 32-ე მუხლი.

160 იქვე.


161 იქვე, 34-ე მუხლი.

162 იქვე, 33-ე მუხლი.

163 იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2018 წლის 30 ივლისის წერილი N02/2080 წერილი.


იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგს.¹⁶⁴

გადამზადების პროგრამაში მონაწილე მოსამართლეების რაოდენობა



სკოლის მიერ მონოდებული იქნა ასევე ინფორმაცია, თუ რამდენმა მოსამართლემ გაიარა 2 ან მეტი ტრენინგი¹⁶⁵:

მოსამართლეების რაოდენობა, რომელთაც ორი ან მეტი ტრენინგი გაიარეს



¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2019 წლის 17 იანვრის N02/2230 წერილი.

ამავე წერილის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი სკოლა არ ფლობს ინფორმაციას მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ, რომლებსაც საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა მოსამართლეთა გადამზადების პროგრამაში.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ასევე განხორციელდა 3 გაერთიანებული ტრენინგი მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 64-მა მონაწილემ. შესაბამისად, 2017 წელს გადამზადების პროგრამაში მონაწილე მოსამართლეების რაოდენობა შესაძლოა აღემატებოდეს 778-ს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით¹⁶⁶ დაამტკიცა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგების გავლის წესი“, რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. აღნიშნული წესის თანახმად, სავალდებულო ტრენინგების ჩატარების მიზანს წარმოადგენს მართლმსაჯულების ხარისხის უზრუნველყოფის, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების ხელშეწყობა. სავალდებულო ტრენინგების ხანგრძლივობა განისაზღვრება წელიწადში არანაკლებ 3 დღით, ხოლო მისი მეთოდის განსაზღვრასა და ჩატარებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული წესი 2019 წლის 1 იანვარს ამოქმედდა, ამ ეტაპზე შეუძლებელია შეფასდეს მისი პრაქტიკაში გამოყენების შედეგები.

ახლებული სამართლებრივი ჩახჩოს ხაზვებუბი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესით არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რა სახის ტრენინგი და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს მოსამართლეებისათვის სავალდებულო. გარდა აღნიშნულისა, მოსამართლეთა გადამზადების კუთხით არსებული ხარვეზები უფრო პრაქტიკით არის გამოწვეული, ვიდრე სამართლებრივი რეგულაციებით.

მოსამართლეთა გადამზადებასთან დაკავშირებით რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ სასურველია გარკვეულ საკითხებში ტრენინგები სავალდებულო იყოს, მაგალითად, „თუ ახალი საკანონმდებლო მასალაა ან პრაქტიკაა ახალი.“ თუმცა, აუცილებელია შეიცვალოს თავად ტრენინგების შინაარსი. მათი მითითებით, ტრენინგები ზოგადი ხასიათისა და ძირითადად ვერ უზრუნველყოფს მოსამართლეებისათვის საჭირო ინფორმაციის

166 <https://bit.ly/2rqf26v> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 29 ნოემბერს).

მიწოდებას სამართლებრივი საკითხების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, სემინარები ძალიან ზოგადი იყო და პრაქტიკაში არსებულ პრობლემებზე პასუხების მიღების შესაძლებლობა არ არსებობდა. შესაბამისად, მისი აზრით, პროფესიული გადამზადების პროგრამა დასახვეწია. მან ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, მოსამართლეები ავსებდნენ კითხვარებს და ზოგიერთ შემთხვევაში ტრენინგებისათვის საკითხების შერჩევა სწორედ მათზე დაყრდნობით ხდებოდა, თუმცა, საერთო ჯამში კითხვარებში მითითებული მოსაზრებები გათვალისწინებული არ ყოფილა და ტრენინგები მოლოდინს ვერ ამართლებდა.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აღნიშნავს, რომ პროფესიული დონის განვითარებაზე ზრუნვა განგრძობადი თეორიული განათლებისა თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებით მოსამართლის ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს¹⁶⁷, მისი მაღალი პროფესიული დონე ამცირებს ადამიანის უფლებათა დაუცველობის რისკს, განამტკიცებს პატივისცემას სასამართლოსადმი და ასევე აძლიერებს საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს თანახმად, არარეალურია, რომ ადგილზე გადამზადების ყველა კურსი სავალდებულო იყოს ყველა შემთხვევაში, რათა ის არ გახდეს ბიუროკრატიული და უბრალოდ ფორმალური სახე არ მიიღოს. კონკრეტული ტრენინგი უნდა იყოს საკმაოდ მიმზიდველი იმისათვის, რომ მოსამართლეებმა მიიღონ მასში მონაწილეობა. ვინაიდან ნებაყოფლობითი მონაწილეობა ტრენინგის ეფექტიანობის საუკეთესო გარანტიაა, ამის ხელშეწყობა უნდა მოხდეს იმის უზრუნველყოფით, რომ თითოეული მოსამართლე აცნობიერებდეს ეთიკურ მოვალეობას თავისი ცოდნის განახლებისა და განვითარების თვალსაზრისით.¹⁶⁸ გარდა ამისა, CCJE აღნიშნავს, რომ ადგილზე გადამზადების სავალდებულო კურსები შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში; ამის მაგალითები შეიძლება იყოს (თუ კომპეტენტური სასამართლო ან სხვა ორგანო ასე გადაწყვეტს) მოსამართლის დანიშვნა ახალ თანამდებობაზე, სხვა ტიპის სამუშაოს შესრულება, სხვა ტიპის ფუნქციების მინიჭება ან კანონმდებლობაში ფუნდამენტური ხასიათის ცვლილებების შეტანა.¹⁶⁹

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) განმარტავს, რომ „მოსამართლეთა სამართლებრივი და ეთიკური მოვალეობა და უფლებაა იმუშაონ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე განგრძობად ტრენინგში მონაწილეობის გზით, რაც გაგებულნი უნდა იქნას როგორც ცხოვრების

167 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №4 (2003), §2.

168 იქვე, §34.

169 იქვე, §37.

მანძილზე სწავლის პროცესი“.¹⁷⁰ CCJE ასევე მიიჩნევს, რომ „სწავლება არის იმის წინაპირობა, რომ სასამართლო ხელისუფლებას პატივს სცემდნენ და ის იმსახურებდეს პატივისცემას. მოქალაქეების ნდობა სასამართლო სისტემისადმი უფრო განმტკიცდება, თუ მოსამართლეებს ექნებათ ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა, რომელიც სცდება სამართლის ტექნიკურ სფეროს და ეხება მნიშვნელოვან სოციალურ თემებს ისევე, როგორც სასამართლო დარბაზსა და პიროვნულ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას, რაც მათ აძლევს საქმეების მართვისა და შესაბამის პირებთან ურთიერთობების სათანადოდ და დელიკატურად წარმართვის საშუალებას. მოკლედ რომ ითქვას, ტრენინგი მნიშვნელოვანია სამოსამართლო ფუნქციების ობიექტურად, მიუკერძოებლად და კომპეტენტურად შესრულებისა და მოსამართლეთა არასათანადო ზეგავლენისგან დაცვის თვალსაზრისით“.

CCJE-ს რეკომენდაციით, მოსამართლეთა მონაწილეობა ტრენინგ პროგრამებში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას დანინაურების საკითხის განილვისას.¹⁷¹ საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა ამგვარ რეგულირებას არ ითვალისწინებს.

მოსამართლეთა გადამზადებასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლეთათვის გადამზადების პროგრამის სავალდებულოობასთან დაკავშირებითაც, რომლის თანახმადაც, მოსამართლეები ვალდებული არიან წელიწადში სამი დღის განმავლობაში მიიღონ მონაწილეობა ტრენინგებში. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ეს მოდელი ეხმიანება საფრანგეთში არსებულ პრაქტიკას. თუმცა, სკოლის წარმომადგენლების თქმით, განსახილველ საკითხს წარმოადგენს მხოლოდ ტრენინგებისათვის განკუთვნილი დღეები იქნება სავალდებულო ხასიათის თუ თემატიკაც.

რაც შეეხება მოსამართლეთა საჭიროების შეფასებას ტრენინგების ნაწილში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებების იდენტიფიცირების კომპონენტი ძალიან ბევრ ეტაპს გადის. მათივე თქმით, სკოლა ამ ნაწილში მუშაობს სხვადასხვა რეკომენდაციაზე და აუცილებელი იქნება იმისი უზრუნველყოფაც, რომ მოენწყოს დამატებით შეხვედრები მოსამართლეებთან, რომელთა მიზანი იქნება მოსამართლეებთან კომუნიკაცია და დამატებითი ინფორმაციის მიღება, იმის გარდა, რა მონაცემებზე წვდომაც სკოლას ისედაც აქვს გამოკითხვებიდან გამომდინარე.

მოსამართლეთა გადამზადებასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მართალია, ტრენინგების სავალდებულო

¹⁷⁰ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა N10(2007), §70.

¹⁷¹ იქვე.

თემატიკა განსაზღვრული არ არის, თუმცა, რეკომენდაცია გაეწევა ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ პრაქტიკას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ მართალია, მოსამართლეთა გადამზადების საჭიროებების კვლევა პირდაპირ განერილი პროცედურებით არ ხდება, თუმცა, ყველა მოსამართლეს ეგზავნება კითხვარი, რომელიც მხედველობაში მიიღება. გარდა ამისა, ერთ შემთხვევაში მათ ასევე გაითვალისწინეს სახალხო დამცველის რეკომენდაციაც, რომლის თანახმადაც, უმჯობესი იქნებოდა, თუ მოსამართლეებს მეტი კვალიფიკაცია ექნებოდათ ფსიქიკური ჯანდაცვის საკითხებზე.

სხვა ქვეყნების გამოცდილება

პორტუგალიაში მოსამართლეთა სწავლების ცენტრი მოსამართლეებს სთავაზობს ტრენინგებს. განგრძობადი ტრენინგის ყოველწლიური გეგმა მზადდება მოსამართლეთა სასწავლო ცენტრის მიერ მოსამართლეთა, ადმინისტრაციულ მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობით.¹⁷²

გერმანიაში მოსამართლეთათვის გადამზადების პროგრამა ძირითადად ორგანიზებულია სპეციალური ინსტიტუტების მიერ. გერმანიაში ყველა მოსამართლე იღებს ყოველწლიურ პროგრამას ტრენინგებთან დაკავშირებით, საიდანაც მას შეუძლია აარჩიოს ერთი ან რამდენიმე სემინარი. ტრენინგების ყოველწლიური პროგრამა არ მოიცავს სავალდებულო კურსების ჩამონათვალს. მოსამართლეები თავად არჩევენ, რომელ სემინარებს დაესწრნონ.

მოსამართლეთათვის ტრენინგები ტარდება 30 ან 40 ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფში. მაგალითისათვის, სემინარები შეეხება სამართლის სპეციალურ დარგს ან კონკრეტული საკითხის განხილვას, რომელსაც შესაძლოა მოსამართლეები პრაქტიკაში წააწყდნენ. სემინარებზე შესაძლოა განიხილებოდეს საოჯახო სამართლის სხვადასხვა აქტუალური ასპექტები, საკანონმდებლო ცვლილებები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სემინარები მოიცავს ინტერდისციპლინურ საკითხებსაც.

მოსამართლეებს რეგულარულად სთავაზობენ დაესწრნონ საერთაშორისო სემინარებს, რომლებსაც მონვეული ექსპერტები უძღვებიან.

მართალია, გერმანიაში მოსამართლეთათვის გადამზადების პროგრამაში

¹⁷² <http://www.ejtn.eu/About-us/Members/Portugal/> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 3 დეკემბერს).

მონაწილეობა სავალდებულო არ არის, თუმცა, გარკვეული ტრენინგების სქემები შესაძლოა სავალდებულო იყოს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლისათვის.¹⁷³

დანიამიჯ გერმანიის მსგავსად, მოსამართლეთათვის ტრენინგები სავალდებულო არ არის, არჩევითი ხასიათისაა. ტრენინგების სქემას ძირითადად ადმინისტრირებას კერძო კონსულტანტები უწევენ, რომლებსაც სასამართლოს ადმინისტრაცია აფინანსებს. წელიწადში ორჯერ მოსამართლეებს ეგზავნებათ ინფორმაცია ტრენინგების სქემისა და კურსების შესახებ. ტრენინგების მთავარი მიზანი მოსამართლეთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაა.¹⁷⁴

მოსამართლეთათვის გადამზადების პროგრამაში მონაწილეობა სავალდებულო არ არის **ჰოლანდიაშიჯ**.¹⁷⁵

რაც შეეხება **საფრანგეთს**, მოსამართლეები ვალდებულები არიან წელიწადში მინიმუმ 5 დღის განმავლობაში დაესწრონ სემინარებს.¹⁷⁶ მოსამართლეთა გადამზადების ფარგლებში ტრენინგებს ატარებს ეროვნული სამოსამართლო სკოლა, რომელშიც შედის განვრცობადი სწავლების (მოსამართლეთა გადამზადების) დირექტორატი.¹⁷⁷

საფრანგეთში განვრცობად სწავლებას შესაძლოა ჰქონდეს რამდენიმე ფორმა, მაგალითისათვის, იგი შესაძლოა მოიცავდეს სემინარებში მონაწილეობას, რომელსაც ატარებენ პროფესიონალები და უცხოელი ექსპერტები. სემინარები ტარდება ტექნიკურ და სოციალურ საკითხებზეც. განვრცობადი სწავლების ფარგლებში საფრანგეთში ასევე არსებობს სხვადასხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებში სტაჟირებისა და ასევე ენის კურსების გავლის შესაძლებლობაც.¹⁷⁸

173 Consultative Council of European Judges (CCJE) Questionnaire on Judge's Training (Reply submitted by the delegation of Germany), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680747c67> (ბოლოს ნანახია 26/11/2018).

174 Consultative Council of European Judges (CCJE) Questionnaire on Judge's Training (Reply submitted by the delegation of Denmark), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680747cd0> (ბოლოს ნანახია 26/11/2018).

175 Consultative Council of European Judges (CCJE) Questionnaire on Judge's Training (Reply submitted by the delegation of Netherlands), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680747c22> (ბოლოს ნანახია 26/11/2018).

176 https://www.enm.justice.fr/sites/default/les/publications/plaquette2017_EN.pdf (ბოლოს ნანახია 30/11/2018).

177 https://www.enm.justice.fr/sites/default/les/publications/plaquette2017_EN.pdf (ბოლოს ნანახია 30/11/2018).

178 Conseil Consultatif De Juges Europeens (CCJE) Questionnaire Relatif A La Formation Des Juges (Reponse de la delegation de la France), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680747b7e> (ბოლოს ნანახია 26/11/2018).

დასჯენები და ჩუქომენდაციები

მოსამართლეები უნდა აცნობიერებდნენ თვითგანვითარების მნიშვნელობას და უნდა ჰქონდეთ იმის მოტივაცია, რომ საკუთარი სურვილისამებრ გაიარონ ტრენინგები. ამ მიზნით, მიზანშეწონილია მოსამართლის მონაწილეობა გადამზადების პროგრამებში, მის მიერ თვითგანვითარებაზე ზრუნვა, ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების მიმართ ინტერესი მხედველობაში იქნას მიღებული დანინაურების შესახებ გადანყვეტილების მიღებისას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის გადანყვეტილებით, 2019 წლიდან მოსამართლეთათვის სავალდებულო გახდა წელიწადში მინიმუმ 3 დღიანი სავალდებულო ტრენინგის გავლა, თუმცა არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რა საკითხზე და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს მოსამართლეებისათვის ტრენინგი სავალდებულო. მოსამართლეთა გადამზადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა არსებითი ცვლილებები ხდება კანონმდებლობაში ან მნიშვნელოვნად იცვლება სასამართლო პრაქტიკა.

აუცილებელია დეტალურად გაიწეროს, რომ მოსამართლეთა ტრენინგებისათვის საკითხების შემრჩევმა პირებმა იხელმძღვანელონ როგორც მოსამართლეთა მიერ შევსებული კითხვარებით, ასევე აწარმოონ სტატისტიკა, შეაფასონ, თუ რომელი საკითხებია განსაკუთრებით რელევანტური მოსამართლეებისათვის. მაგალითისათვის, შესაძლოა შეფასდეს და გამოკვლეულ იქნას, თუ რომელ საკითხებზე ხდება ყველაზე ხშირად პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებების ცვლილება უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებით. ასევე უნდა შეფასდეს და გაანალიზდეს ახალი სამართლებრივი გამოწვევები და შედარებით უცნობი საკითხები, რომლებთან მიმართებითაც მოსამართლეებისათვის სასარგებლო იქნება საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებების მოსმენა და დამატებითი ცოდნის მიღება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ აწარმოოს დეტალური სტატისტიკა თითოეული მოსამართლის მიერ გავლილი ტრენინგების თაობაზე, მათ შორის, ინფორმაცია იმ მოსამართლეების შესახებ, რომლებსაც არ გაუვლიათ გადამზადების ტრენინგი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მას შემდეგ, რაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა წელიწადში არანაკლებ 3 დღიანი სავალდებულო ტრენინგის გავლა.

იუსტიციის მსახურთა და მოსამართლეთა ბალანსების ჰომოგენიზაცია

ამ თავში განხილულია, თუ რამდენად შეესაბამება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა და მოსამართლეთა გადამზადების პროგრამები და სილაბუსები ევროპულ სტანდარტებსა და პრაქტიკას. კვლევა ფოკუსირებულია სამ ძირითად საკითხზე:

- ხდება თუ არა სწავლების საჭიროებების დადგენა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის მიზნით;
- სწორად არის თუ არა განსაზღვრული სწავლების შინაარსი, მეთოდოლოგია და ხდება თუ არა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება;
- დანერგულია თუ არა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

კვლევაში მითითებული რეკომენდაციები ეყრდნობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მონოღებულ პროგრამებს, სილაბუსებს და თანდართულ დოკუმენტებს, აგრეთვე დაინტერესებულ პირებთან ჩატარებულ ინტერვიუსებს.

I. სწავლების საჭიროებების დადგენა და საგანმანათლებლო ჰომოგენიზაცია

რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე მოსამართლეთა მომზადების ინსტიტუციებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, რომ დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ სასწავლო ღონისძიებებს, რომლებიც მორგებულია მსმენელთა ნამდვილ საჭიროებებზე.¹⁷⁹

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებამდე აუცილებელია დადგინდეს სწავლების საჭიროებები. მნიშვნელოვანია შეფასდეს როგორც

¹⁷⁹ EJTN, Handbook on Judicial Training Methodology in Europe (Guidelines Issued by EJTN's Sub-Working Group "Training the Trainers"), Brussels 2014, გვ. 20

ინდივიდუალური, ასევე ორგანიზაციული და ფუნქციონალური საჭიროებები.¹⁸⁰

საჭიროებების დაგეგმვის რეკომენდირებული პროცესია:

- ტრენინგის მიზნების განსაზღვრა;
- ძირითადი მიზნებისა და ამოცანების დადგენა;
- სამუშაო ფუნქციების ანალიზი;
- კურიკულუმის მიზნების დასახვა (კომპეტენციებისა და მისაღწევის შედეგების დადგენა);
- შეფასების კრიტერიუმების დადგენა;
- შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა;
- კურიკულუმის მიზნებისა და სწავლის შედეგების დაჯგუფება;
- სასწავლო კურსების შედგენა (ა) კურსის მიზნების და სწავლის შედეგების ჩამოყალიბება; ბ) კურსის შინაარსის და კალენდარული გეგმის დადგენა; გ) სწავლებისა და სწავლის მეთოდების შერჩევა; დ) უკუკავშირის მიღების დაგეგმვა);
- სასწავლო კურსის მასალების შერჩევა და შექმნა;
- კალენდარული გეგმის დადგენა;
- კურიკულუმის განხორციელება;
- სასწავლო პროცესის შეფასება და შედეგების ანალიზი.¹⁸¹

მოსამართლეთა მომზადების ინსტიტუციისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსამართლეთა რეალური საჭიროებების დადგენა, მათ შორის, იერარქიული თუ სპეციალიზაციის მიხედვით. ევროპაში მოსამართლეთა ტრენინგის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს მიხედვით, გამოიყენება შემდეგი მეთოდოლოგია:

- გამოკითხვების ჩატარება თითოეული სასწავლო კურსის შესახებ;
- კვლევების (გამოკითხვების) ჩატარება სასამართლოებში;

¹⁸⁰ European Commission, Advice for training providers (European judicial training), European Union, 2015, გვ. 3

¹⁸¹ EJTJN, Handbook on Judicial Training Methodology in Europe (Guidelines Issued by EJTJN's Sub-Working Group „Training the Trainers”), Brussels 2014, გვ. 19

- მოსამართლეთა სამუშაო აღწერილობის, ფუნქციებისა და ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
- რეგულარული ინტერვიუება “მაღალი საფეხურის” (მაღალი

ინსტანციის) მოსამართლეებთან კარიერული განვითარების შესახებ.¹⁸²

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების/საგანმანათლებლო დაწესებულებების/დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა დაგეგმვის პროცესში. საჭიროებების დადგენის პროცესში აღნიშნული გარე მხარეების ჩართულობა, შესაძლოა ნაყოფიერი იყოს. თუმცა, გასათვალისწინებელია ასეთი დიალოგის ფორმატის ინსტიტუციონალიზების სირთულეც.¹⁸³

ზემოაღნიშნული რეკომენდაციის სრულად გათვალისწინება არ დასტურდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოწოდებული საგანმანათლებლო პროგრამებით, თანდართული დოკუმენტებითა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებით. დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუების შედეგად, გამოვლინდა, რომ პროგრამა არ არის მორგებული რეალურ საჭიროებებზე, რაც მიუთითებს საჭიროებების ანალიზის ეფექტიანად განხორციელების აუცილებლობაზე. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, „ძალიან ბევრი თემა, რომელიც მოსამართლემ უნდა იცოდეს და უნდა ყოფილიყო პროგრამაში, ფიზიკურად ვეღარ იტევდა პროგრამა.“

საჭიროებების გათვალისწინების დეფიციტზე მიუთითებს აგრეთვე ტვინინგის პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა, რომლის მიხედვითაც იუსტიციის მსმენელის შესახებ ინფორმაციის შეკრება წინასწარ არ ხდება. ტრენინგებს არ ეგზავნებათ ინფორმაცია მსმენელების შესახებ და ტრენინგის პროგრამის მომზადების დროსაც არ ხდება ამ ინფორმაციის გათვალისწინება. აგრეთვე, როგორც კვლევაშია აღნიშნული, თითოეულ კანდიდატს, გააჩნია ტრენინგის საკუთარი საჭიროებები და სასურველია საჭიროებების გათვალისწინება იმ მიზნით, რომ პროგრამა მოერგოს კონკრეტულ მონაწილეს.¹⁸⁴

¹⁸² იქვე, გვ. 20-21

¹⁸³ იქვე, გვ. 22

¹⁸⁴ სამოსამართლო სწავლების ხელშეწყობა ტვინინგის პროექტის მეშვეობით; მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების პროგრამის ანალიზი და რეკომენდაციები პროგრამის დახვეწასთან დაკავშირებით პროექტის აქტივობების 1.1.1. და 1.1.5 ფარგლებში, ამანდინ დე ლა ჰარპი, ძინტრა ბალტა, 26.02-6.03.2018, გვ. 6

II. სწავლების შინაარსი, მეთოდოლოგია და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება

სასწავლო უჩსების შინაარსი

სასწავლო კურსები ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ სამართლის სხვადასხვა დარგის სწავლებაზე, არამედ აგრეთვე იურისტისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ტრანსფერული უნარ-ჩვევების (მაგ.: ანალიზის და სინთეზის უნარი, კრიტიკული აზროვნების უნარი, არგუმენტაციის და ინტერპრეტაციის უნარი, დაგეგმვის და ორგანიზების უნარი) განვითარება იმ მიზნით, რომ მსმენელს ჰქონდეს თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების და განვითარების უფრო მეტი მიმღებლობა.¹⁸⁵

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მომზადების პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები არ არის სათანადოდ დეტალიზებული და არ შეიცავს საჭირო ინფორმაციას. კერძოდ, სილაბუსებში არ არის მითითებული სწავლის შედეგები.

რეკომენდაციის თანახმად, სასწავლო კურსების შექმნისა და დანერგვის პირველი ეტაპია სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრა. კურსი უნდა პასუხობდეს კითხვებს:

- რა ცოდნას მიიღებს მსმენელი კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ?
- შეიძენს თუ არა მსმენელი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს?¹⁸⁶

სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩამოთვლილია მხოლოდ საკითხები და თემატიკა. სწავლის შედეგების მითითება სილაბუსებში მნიშვნელოვანია, რადგან ერთი მხრივ, ეს მსმენელს საშუალებას აძლევს მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს მისაღწევ მიზანზე და სასწავლო კურსის დასაძლევად საჭირო ძალისხმევაზე, ხოლო მეორე მხრივ, შემფასებელს/ლექტორს უმარტივებს მსმენლის ცოდნის შეფასებას. სწავლების მიზანი სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვაა, რაც რთულია სწავლის შედეგების მითითების გარეშე.

გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს საერთოდ არ აქვს თანდართული სილაბუსები. პროგრამაში მითითებულია მხოლოდ ტრენინგის თემატიკა.

¹⁸⁵ European Commission, Advice for training providers (European judicial training), European Union, 2015, გვ.6

¹⁸⁶ EJTN, Handbook on Judicial Training Methodology in Europe, Brussels 2016, გვ.40

პრობლემა დასტურდება ჩატარებული ინტერვიუებიდანაც: ერთ-ერთი რესპონდენტის მითითებით, მოსამართლეობის კანდიდატების სწავლებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით პრობლემური იყო მოუწესრიგებელი სილაბუსები. როგორც მან აღნიშნა, სილაბუსი მოიცავდა მხოლოდ საკითხების ზოგად ჩამონათვალს და განერილი არ იყო, რა საკითხებისთვის უნდა ეპასუხა ტრენინგს. მისი თქმით, მართალია, მან გამოთქვა პრეტენზია, როგორც სილაბუსთან, ისე, ზოგადად, სწავლების პროცესთან დაკავშირებით, თუმცა მისი შენიშვნები მხედველობაში არავის მიუღია. მაგალითად, რესპონდენტის თქმით, „სილაბუსი როცა გამომიგზავნეს, მხოლოდ ენერა დელიქტი და მეტი არაფერი. შესაბამისად, მე შენიშვნა მივეცი აღნიშნულთან დაკავშირებით, რომ სილაბუსი არაფრად არ ვარგოდა და არც პასუხობდა მოთხოვნებს.“

სწავლების მეთოდოლოგია

ევროკომისიის რეკომენდაციის მიხედვით, ფორმალური სასწავლო აქტივობები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მსმენელთა ყოველდღიურ საქმიანობასთან და დატვირთვასთან. სასწავლო კურსები უნდა იყოს პრაქტიკაზე ორიენტირებული. სწავლების თეორიული ნაწილი აუცილებლად უნდა იყოს კავშირში პრაქტიკულ ნაწილთან. მსმენელმა უნდა შეძლოს, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- სწავლების მეთოდოლოგია უნდა მოერგოს მსმენელთა სპეციფიკურ, ერთმანეთისგან განსხვავებულ საჭიროებებს;
- სასწავლო პროცესში უნდა ჩაერთონ შესაბამის სფეროში მოღვაწე კვალიფიციური პრაქტიკოსი იურისტები;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას მსმენელთა აქტიური მონაწილეობა სასწავლო კურსებში;
- გამოყენებულ უნდა იქნას სწავლების ინტერაქტიული მეთოდები: ქეისების განხილვა; სიმულაციები; როლური თამაშები; იმიტირებული სასამართლო პროცესები;
- გათვალისწინებულ უნდა იქნას პრაქტიკული უნარების განვითარების მნიშვნელობა (მათ შორის, კომუნიკაციისა და, მაგალითად, გადაწყვეტილების პროექტის შედგენის, აგრეთვე სასამართლო პროცესში IT ტექნოლოგიებისა და ვებზე დაფუძნებული რესურსების გამოყენების უნარები);

- შეთავაზებულ უნდა იქნას სწავლების სათანადო მეთოდები, სწავლების თეორიული ნაწილისა და პრაქტიკული ნაწილის ეფექტიანად ურთიერთდაკავშირების მიზნით;
- სასამართლო პრაქტიკიდან გამოყენებულ უნდა იქნას შესაბამისი საქმეები იმ მიზნით, რომ ეს დაკავშირებულ იქნას სამიზნე ჯგუფის პროფესიულ პრაქტიკასთან, მათ შორის, გამოყენებულ უნდა იქნას შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდის საფუძველზე;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას შეხედულებების მრავალფეროვნება სასწავლო პროცესის განმავლობაში. მაგალითად, სასწავლო პროცესში შეიძლება ჩაერთოს სამართლის სხვა დარგის წარმომადგენელი ან სულ სხვა პროფესიის წარმომადგენელი;
- სასწავლო პროცესის ნაწილი შეიძლება იყოს ვიზიტი სხვა ინსტიტუციაში;
- სასწავლო პროცესში სასურველია ისწავლებოდეს ევროპული სამართალი ისე, რომ მსმენელმა სამართლის ეს დარგი აღიქვას გამოსადეგად თავის პროფესიაში;
- სასწავლო პროცესში საკმარისი დრო უნდა დაეთმოს დისკუსიას და მსმენელთა უკუკავშირს, მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მსმენელებმა გააცნობიერეს სწავლების პროცესში მიწოდებული სასწავლო მასალა;
- სასწავლო პროცესში აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული მეთოდი „სწავლა კეთებით“ (learning by doing), მსმენელებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთისთვის მოსაზრებების გაზიარება და ერთმანეთის გამოცდილების და ცოდნის გაზიარების საფუძველზე სწავლა ყოველგვარი გარე მონიტორინგის და ჩარევის გარეშე.¹⁸⁷

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მომზადების პროგრამა, აგრეთვე გადამზადების პროგრამა არ მოიცავს ან არასრულად მოიცავს სწავლების მეთოდოლოგიას. სასწავლო კურსების უმრავლესობაში (მაგ.: „რელაციის და სუბსუმუციის ტექნიკები“, „აღკვეთის ღონისძიებები“, „განაჩენი, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და აღსრულება“, „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, „საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში“, სხვ.) საერთოდ არ არის მითითებული სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში კი

¹⁸⁷ European Commission, Advice for training providers (European judicial training), European Union, 2015, გვ.7

სწავლების მეთოდოლოგია არასრულად არის მითითებული. მაგალითად, “ტრენინგთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვა” ისწავლება მხოლოდ ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის, ინდივიდუალური მუშაობის და მსჯელობის მეთოდების გამოყენებით. კაზუსების განხილვა კი მითითებულია არა როგორც სწავლების მეთოდი, არამედ როგორც აქტივობა. საგადასახადო სამართლის სასწავლო კურსი ისწავლება მხოლოდ შემდეგი მეთოდების გამოყენებით: “ინტერაქტიული”, “ჯგუფური”. სილაბუსში არ არის განმარტებული, რას ნიშნავს ეს მეთოდები. ასევე, არ არის მითითებული კაზუსების განხილვა ან/და PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) როგორც სწავლების მეთოდები.

სასწავლო პროცესის გამოყენებულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით არსებული პრობლემა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგად. ერთი მხრივ, იკვეთება, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი მათ ინტერესზე და რეალურ საჭიროებაზე არ არის მორგებული და ძირითადად საუნივერსიტეტო განათლების განმეორებით შემოიფარგლება, ხოლო მეორე მხრივ კი - ზოგიერთ შემთხვევაში სწავლების მეთოდოლოგია არის არაადეკვატური.¹⁸⁸ ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მეთოდოლოგია დასახვეწია: „უნდა შეიცვალოს მეთოდოლოგია... სკოლაში ტრენინგები ძირითადად ლექციურია.“ გარდა ამისა, „[პროგრამა] უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული მოსამართლო უნარ-ჩვევებზე და არა, მაგალითად, მხოლოდ დარგის სამართლის სწავლებასა და თუნდაც გამეორებაზე”.

Twinning-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ანგარიშში ასევე ასახულია მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემა, კერძოდ, ანგარიშის თანახმად, დოკუმენტებში არ არის მოხსენიებული ის მეთოდოლოგია, რასაც ტრენინგები იყენებენ სწავლების დროს - პრაქტიკული მაგალითების ჩვენება, პრობლემის გადაჭრაზე მუშაობა, ემპირიული სავარჯიშოები, დებრიფინგი.¹⁸⁹

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საჭიროა სწავლების ფორმატის განახლება - დისტანციური სწავლების პროგრამების შემუშავება და დანერგვა. აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დისტანციური სწავლების პროგრამების შემუშავება დაგეგმილია Twinning-ის პროექტის ფარგლებში.¹⁹⁰ ევროკომისიის განმარტებით, ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლებას

188 სწავლების პროგრამასთან დაკავშირებით, მათ შორის სტაჟირებასთან დაკავშირებით, ინტერვიუებით გამოვლენილი პრობლემები დეტალურად იხ. თავი: სასწავლო პროცესი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში; არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ხარვეზები. ხოლო მოსამართლეთა გადამზადების პროგრამასთან დაკავშირებით რესპონდენტებთან გასაუბრების შედეგებისთვის იხ. თავი: მოსამართლეთა გადამზადება; არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ხარვეზები.

189 მოსამართლო სწავლების ხელშეწყობა ტვინინგის პროექტის მეშვეობით; მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების პროგრამის ანალიზი და რეკომენდაციები პროგრამის დახვეწასთან დაკავშირებით პროექტის აქტივობების 1.1.1. და 1.1.5 ფარგლებში, ამანდინ დე ლა შარპი, ძინტრა ბალტა, 26.02-6.03.2018, გვ. 14-15

190 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, თბილისი, 2018 წ., გვ. 29

რამდენიმე უპირატესობა აქვს:

- ასეთი ფორმატით შესაძლებელი ხდება უფრო მეტი მონაწილე ჩაერთოს ტრენინგის პროცესში;
- უფრო მეტად ხარჯ-ეფექტიანია ფინანსური თვალსაზრისით, ვიდრე ტრადიციული ფორმატის [face to face] ტრენინგი;
- მორგებულია მსმენელის დატვირთულ სამუშაო გრაფიკზე.

ამიტომ, ტრენინგის მიმწოდებელმა ორგანიზაციამ სასწავლო პროცესში უნდა გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები და განავითაროს დისტანციური სწავლების უფრო მეტი პროექტი იმ მიზნით, რომ საბოლოო ჯამში მოხდეს მოსამართლეთა მომზადებისა და გადამზადების სტრატეგიაში დისტანციური სწავლების ინტეგრირება.¹⁹¹

III. ხარისხის უზრუნველყოფა

“ევროპაში მოსამართლეთა სწავლების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოში” მითითებული რეკომენდაციის თანახმად, მოსამართლეთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო აქტივობების შეფასება სწავლების ციკლის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლითაც განისაზღვრება, მიღწეულია თუ არა სწავლის მიზნები და შედეგები როგორც მაკრო [პროგრამა და კურიკულუმი], ასევე მიკრო დონეზე [სასწავლო კურსი] სრულად; ნაწილობრივ; თუ საერთოდ არ არის მიღწეული. აღსანიშნავია, რომ შეფასების პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის სარგებლის მომტანი, თუ ხარისხის კვლევებს შედეგად მოყვება განხილვა და რეაგირება. თუ გამოკითხვების და ჩატარებული კვლევების საფუძველზე არ ხდება სასწავლო პროცესის გაუმჯობესება, მაშინ ხარისხის ნაწილში კვლევები უსარგებლოა. შეფასების პროცესის დაგეგმვის დროს, მთავარია არა შეფასების კონცეფცია, არამედ კვალიფიციური პერსონალი, რომელიც ადგენს, აფასებს და იყენებს კვლევის შედეგებს.¹⁹²

იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან მიღებული წერილით¹⁹³ ირკვევა, რომ

¹⁹¹ European Commission, Advice for training providers (European judicial training), European Union, 2015, გვ. 10

¹⁹² EJTN Handbook on Judicial Training Methodology in Europe, 2016, გვ. 67

¹⁹³ იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2018 წლის 6 ნოემბერის N02/2158 წერილი.

მსმენელებს საშუალება აქვთ შეავსონ ტრენინგის შეფასების კითხვარი. კითხვარი მსმენელს საშუალებას აძლევს შეაფასოს ტრენინგის პროცესი, ტრენერი, ტრენინგის ორგანიზაციული მხარე და ტრენინგი ზოგადად [“ზოგადი შეფასება”]. თუმცა, გამოკითხვის მხოლოდ ეს ფორმა არ არის საკმარისი, რადგან კირკპატრიკის 4 საფეხურიანი შეფასების მოდელი არა მხოლოდ სასწავლო პროცესის შეფასებას გულისხმობს, არამედ აგრეთვე მსმენელის მიერ მიღწეული შედეგების შეფასებასაც, მათ შორის, სამუშაო ადგილზე. სკოლიდან მონოდებული ინფორმაციით არ დგინდება, რომ რეალურად არის დანერგილი კირკპატრიკის 4 საფეხურიანი შეფასების მოდელი. იუსტიციის უმაღლეს სკოლას არ მოუწოდებია შეფასების შედეგები და არც ძირითადი მიგნებები.

იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან მიღებულ მასალებიდან არ ირკვევა, რომ გათვალისწინებულია ევროპული კომისიის შემდეგი რეკომენდაცია: შეფასების შედეგები უნდა იქნას გამოქვეყნებული - გაზიარებული დაინტერესებულ პირებთან. თუ შეფასების შედეგები ნეგატიურია, მაშინ აუცილებელია კვლევის შედეგების ანალიზი და განხილვა სხვა კოლეგებთან (ლექტორებთან) ერთად. გარდა ამისა, სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, ასევე უნდა შეფასდეს, რა გავლენა მოახდინა სასწავლო კურსმა მსმენელის პრაქტიკაზე. შეფასება უნდა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც მსმენელი პრაქტიკაში განიხილავს რელევანტური საქმეების გარკვეულ რაოდენობას. შეფასების ეს ეტაპი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან სასწავლო კურსების ძირითადი მიზანი სწორედ რომ მსმენელის საქმიანობის გაუმჯობესებაა. მაგალითად, სასწავლო კურსის მონაწილეებს შეიძლება ვკითხოთ, რამდენი ქეისის განხილვის დროს გამოიყენეს სასწავლო კურსის სწავლების პროცესში მიღებული ცოდნა; რამდენჯერ გამოიყენეს სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული სქემები თუ ნიმუშები ან სასამართლო პრაქტიკა, განხილული სასწავლო კურსის ფარგლებში; გაუზიარეს თუ არა სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნა თავიანთ კოლეგებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპის შეფასებაში ჩაერთოს სათანადო რაოდენობის მსმენელი. ამიტომ, გამოკითხვაში მონაწილეთა სათანადო რაოდენობის უზრუნველსაყოფად და გამოკითხვებში მათი რაოდენობის გასაზრდელად, საჭიროა წინასწარი შეთანხმება. ერთი მეთოდი არის დიდი ჯგუფის შედგენა, რომელსაც წინასწარ განესაზღვრება დავალებად შეფასების შედგენა (კითხვარის შევსება). მეორე მეთოდი არის, საკონტაქტო პირის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პერიოდის შეხსენებას და შედეგების შეგროვებას. შედეგები სწავლების ციკლის ნაწილად უნდა იქცეს და ქმნიდეს ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების საფუძველს.¹⁹⁴

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმართაობაზე მიუთითებს

¹⁹⁴ European Commission, Advice for training providers (European judicial training), European Union, 2015, გვ.9

რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიც, კერძოდ, რამდენიმე მათგანის თქმით, გამოკითხვა ფორმალურ ხასიათს ატარებს და შეუძლებელია კითხვარში მითითებული მეთოდით ზუსტად შეაფასო სასწავლო კურსის ხარისხი, ლექტორის კომპეტენცია თუ ხელმძღვანელის საქმიანობა. არ ხდება მიღებული შედეგების ანალიზი. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, რომ წახალისებული არ არის კრიტიკული აზრის გამოთქმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, მსმენელები თავს იკავებენ დააფიქსირონ თავიანთი შეხედულებები.

შედეგების ანალიზის და შესაბამისი ანგარიშების გარეშე არ არსებობს შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ამასთანავე, აუცილებელია მონაცემების სათანადოდ შეგროვება და ანალიზი. ეს შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან სწორედ ამ ეტაპს უკავშირდება სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა.

IV. დასკვნები და რეკომენდაციები

ევროპული რეკომენდაციებისა და გამოცდილების, იუსტიციის უმაღლესი სკოლის პროგრამებისა და პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, შემუშავდა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

დასკვნები

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მონოღებული დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე, არ დასტურდება, რომ საჭიროებების შეფასების პროცესი ეფექტიანად ხორციელდება;
- არ დასტურდება, რომ პროგრამების (კურიკულუმების) შემუშავების პროცესში არის ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე;
- პროგრამის ხანგრძლივობა მოკლეა; სწავლების არასაკმარისი ხანგრძლივობა ეხება როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ [სტაჟირების] ნაწილს;
- დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, ასევე ინტერვიუებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სასწავლო ფორმატი და მეთოდები არ არის მორგებული მსმენელთა საჭიროებებზე; სწავლება, ძირითადად, სალექციო მეთოდს ეყრდნობა;
- მონოღებული დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე, არ დასტურდება, რომ ხდება სასწავლო კურსების შეფასება, ანგარიშების შედგენა და შეფასების შედეგებზე შესაბამისი

რეაგირება.

ჩუკომუნდაციუბი

საჭიროებების შეფასების პროცესის ეფექტიანად განხორციელების აუცილებლობა კურიკულუმის [სასწავლო პროგრამის] შემუშავებამდე:

- იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ იუსტიციის მსმენელთა, მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა მომზადების/გადამზადების პროგრამები უნდა დაგეგმოს მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა რეალური საჭიროებების ანალიზის შემდეგ; საჭიროებების ანალიზი უნდა იყოს უფრო მეტად ეფექტიანი;
- იუსტიციის უმაღლესის სკოლის სასწავლო პროგრამებით განსაზღვრულია, რომ გამოკითხვები ტარდება ყოველი სასწავლო კურსის თუ კომპონენტის დასრულების შემდეგ. თუმცა, ეს არ არის საკმარისი და შეადგენს საჭიროებების დადგენის მეთოდებიდან მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს. საჭიროა კვლევების ჩატარება სასამართლოებში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სამუშაო აღწერილობების შესწავლა და რაოდენობრივ კვლევებთან ერთად, თვისებრივი კვლევების ჩატარება და შესაბამისი შედეგების გამოქვეყნება.

სამოქალაქო საზოგადოების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და სპეციალური ჯგუფების ჩართულობა კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში:

- კურიკულუმის შემუშავების, დაგეგმვის და დანერგვის პროცესში მიზანშეწონილია სამოქალაქო საზოგადოების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და სპეციალური ჯგუფების, მაგალითად, ადვოკატთა გაერთიანებების, მოსამართლეთა გაერთიანებების ან სხვა მსგავსი ორგანიზაციების ჩართვა;
- მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სასწავლო პროგრამის განმარტების რეალურ ორგანიზაციაში არის სათანადო კვალიფიციური პერსონალი, რომელიც გეგმავს და ახორციელებს კურიკულუმს, მიზანშეწონილია გარე დამკვირვებლების მოსაზრებების მოსმენა.

სასწავლო მეთოდებისა და სწავლების ფორმატების გამრავალფეროვნება, სწავლების ხანგრძლივობა:

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო პროგრამებში მითითებულია სხვადასხვა მეთოდები, რაც, ძირითადად, საუნივერსიტეტო სწავლების მეთოდებია. მიზანშეწონილია ტრენინგების ტექნიკაზე ფოკუსირებით (კითხვა-პასუხი-განხილვა, ჯგუფური სამუშაო, საქმეების შესწავლა, როლური თამაშები, იმიტირებული პროცესები) ამ მეთოდებისა და ფორმატების გამრავალფეროვნება, მაგალითად, კონფერენციებით, სიმპოზიუმებით, ვორქშოპებით, ვებინარებით, ელექტრონული სწავლებით, გაცვლითი პროგრამებით;
- პროგრამების ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს და მოერგოს რეალურ საჭიროებებს.

სასწავლო პროცესის შეფასება და შესაბამისი ანგარიშების შედგენა:

- რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეფასების სისტემის განვითარება. მნიშვნელოვანია შეფასდეს სწავლის პროცესი, რაც შეფასების ძირითადი ნაწილია. ამიტომ, შეფასების ეს ნაწილი კარგად უნდა იყოს სტრუქტურირებული იმისთვის, რომ სწორად გაიზომოს - რა მოხდა ტრენინგის დაწყებიდან დასრულებამდე შინაარსობრივი თვალსაზრისით. გარდა ამისა, საჭიროა ქცევის შეფასება, რაც გულისხმობს მიღებული თეორიული ცოდნის გადატანას პრაქტიკაში და მის გამოყენებას სამუშაო პროცესში.

